

გიორგი კაპანაძე

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჩადენილი სამსახურებრივი  
მდგომარეობის გამოყენებით

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
თბილისი, 0178, საქართველო  
2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, გიორგი კაპანაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

თარიღი :

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი გიორგი კაპანაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

---

თარიღი :

## გამოყენებული აბრევიატურები

ა.შ. - ასე შემდეგ

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

სხვ. - სხვა

ე.ი. - ესე იგი

აშშ. - ამერიკის შეერთებული შტატები

სსკ. - სისხლის სამართლის კოდექსი

მაგ. - მაგალითად

გვ. - გვერდი

შსს. - შინაგან საქმეთა სამინისტრო

## რეზიუმე

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის დანაშაულებრივი საქმიანობის განსაკუთრებით კომპლექსური სახეობა. აღნიშნული დანაშაულის ფესვები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მოდის, თუმცა გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად ფულის გათეთრების მასშტაბი არნახულ სიმაღლეზე ავიდა. დღეისათვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო, შესაბამისად, ჭუჭყიანი ფულის ლეგალიზაციის სქემები ძირითადად ტრანსნაციონალური ხასიათისაა. ზემოაღნიშნულის

გათვალისწინებით საქართველოც ერთ-ერთ მიმზიდველ ქვეყნად მიიჩნევა თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ფულის გათეთრების კრიმინალიზება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ნორმის სახით განისაზღვრა 2006 წელს, სსკ-ის 194-ე მუხლში. ამ დროიდან მოყოლებული სახელმწიფო აქტიურად ჩაერთო დანაშაულის ამ მნიშვნელოვანი სახეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც იყენებს საერთაშორისო გამოცდილებას.

ნაშრომში განხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არსი, მისი წარმომშობი და ხელის შემწყობი პირობები, მოვლენის სოციალურ-ეკონომიკური საშიშროება, აგრეთვე გამოკვლეულია აღნიშნული დანაშაულის იურიდიული ბუნება, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება უმნიშვნელოვანესია ქვეყნის სწორი და სწრაფი განვითარებისთვის. ნაშრომის ფარგლებში მიმოხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დანაშაულის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული დანაშაულის კონკრეტულ დამამძიმებელ გარემოებაზე, ფულის გათეთრება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში დასაქმებული პირის მიერ აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებით დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. ნაშრომში აგრეთვე გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კუთხით.

## **Abstract**

Legalization of illegal income is one of the most complex type of criminal activity. The roots of the above mentioned criminal activity comes from the medieval period however according to the development of globalization, money laundering reached its greatest scales.

Legalization of illegal income is one of the common problem all over the world today, and accordingly such kind of dirty money becomes transnational problem. Take into account above mentioned, Georgia is considered as one of the attractive country for its geopolitical location.

Money laundering as a criminal act adopted in Georgian Criminal Code in 2006 (article -194). Upward from this time, Georgia is actively involved against money crime using its international experience.

This thesis is about legalization of illegal money, how it was originated and what are its contributing conditions, it is also studied the socio-economical threat of this kind of criminal act, as well as its legal nature. Whereas fighting strategy of the country against illegal money is the most important for the fast and rapid development of the country. Within the work there are considered the ways and methods of illegal income legalization. Consideration above mentioned the main attention is focused aggravating circumstances of the crime, also using employment status for money laundering, in this case this applies as well as public person and a person employed in private sector too. The work touches and analyses experiences and other fighting methods against illegal money laundering of other countries.

<b>სარ ჩევი</b>	
<b>შესავალი.....</b>	<b>8</b>
<b>ლიტერატურის მიმოხილვა.....</b>	<b>12</b>
<b>თავი I. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ზოგადი დახასიათება.....</b>	<b>17</b>
1.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არსი და მნიშვნელობა .....	17
1.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განვითარების ზოგადი ისტორია.....	20
1.3 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინოგენული ანალიზი ....	24
<b>თავი II. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითადი შემადგენლობა...29</b>	
2.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური შემადგენლობა ...	29
2.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტური შემადგენლობა .	32
2.3 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხორციელების გზები და მეთოდები.....	33
<b>თავი III. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სპეციალური ამსრულებელი</b>	
<b>44</b>	
3.1 მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი .....	45
3.2 კერძო სექტორში დასაქმებული პირი, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი.....	50
<b>თავი IV. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის გზები და მეთოდები.....</b>	<b>52</b>
4.1 საერთაშორისო თანამშრომლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში .....	52
4.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლაში უცხო ქვეყნების გამოცდილება .....	57
4.3 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის თავისებურებები საქართველოში.....	64
<b>დასკვნა .....</b>	<b>70</b>
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>73</b>

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და მისი ხელშემწყობი პირობების იდენტიფიცირების სირთულე წარმოადგენს. გამონაკლისი არც საქართველოა. გამომდინარე იქედან, რომ ფულის გათეთრების იურიდიული ბუნება ძალზედ მრავალფეროვანია, საინტერესოა როგორ არეგულირებს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი კანონმდებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სტრუქტურას.

უკანონო გზებით მიღებული შემოსავლების დასამალად და შემდგომი რეალიზაციისთვის ორგანიზებული ჯგუფები ჩვეულებრივ იყენებენ სხვადასხვა არალეგალურ ფინანსურ მაქინაციებს. ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაციები თავიანთი აქტივობების დასაფარად და გასამარტივებლად, ან მართლმსაჯულების სისტემისგან თავის ასარიდებლად ხშირად იყენებენ საჭირო ძალაუფლების მქონე პირების მოქრთამვას, კორუფციულ სქემებში ჩაბმას. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ამ შემთხვევაში კორუფცია არის არაკანონიერი ქმედების არა პირველადი მიზანი, არამედ საბოლოო სასურველი შედეგის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება.<sup>1</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებულია ერთ-ერთი განსაკუთრებული კატეგორიის დანაშაული - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რომელიც დეტალურად განმარტავს მისი ჩადენის გზებს და მეთოდებს. მიუხედავად ამისა, თითოეული პუნქტი საჭიროებს განმარტებას და შინარსობრივ აღქმას. აღნიშნული მუხლი საქართველოს კანონმდებლობაში 2006 წლიდან გვხვდება, რაც იმაზე მეტყველებს რომ ამ პერიოდში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მასშტაბებმა

---

<sup>1</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 24 გვერდი.



და ფარგლებმა საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი საქართველოში და აუცილებელი გახდა მისი განსაკუთრებული კრიმინალიზაცია კანონმდებლობაში პირდაპირი განსაზღვრით.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არა მარტო საქართველოს უქმნის დიდ პრობლემებს, არამედ მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოს აყენებს მნიშვნელოვან ზიანს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფულის გათეთრება პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობაზე. პრობლემის მნიშვნელობის მაღალ ხარისხს განაპირობებს არა მხოლოდ ბრუნვაში ჩაბმული ფინანსური რესურსების მოცულობა, არამედ მათი წარმოშობის და მიმოქცევის ფაქტობრივი და პოტენციური შედეგები. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია საფუძველს უყრის კრიმინალური ორგანიზაციების დანაშაულებრივ საქმიანობას და ხელს უწყობს კორუფციის ფართოდ გავრცელებას, განსაკუთრებით, ტრანზიტული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ შორის ისეთში, როგორც საქართველოა. ფულის გათეთრება ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ამცირებს ეკონომიკური განვითარების დონეს და ნეგატიურად მოქმედებს ფინანსურ ინსტიტუტებსა თუ ბაზრებზე.<sup>2</sup> ხშირ შემთხვევაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას თან სდევს კორუფციის მაღალი დონეც, რაც ასევე უარყოფითად აისახება როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე მოსახლეობაში შემოსავლების გადანაწილების თანაფარდობაზე და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მასშტაბების ზრდაზე. ფულის გათეთრების მაღალი დონე ხშირად ეჭვქვეშ აყენებს ქვეყნის რეპუტაციას საერთაშორისო ასპარეზზე, ვინაიდან ის ასახავს ქვეყანაში კორუფციის მაღალ დონეს.<sup>3</sup>

---

<sup>2</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 32 გვერდი;

<sup>3</sup> იქვე, 33 გვერდი.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წარმომშობი და ხელშემწყობი პირობების გამოკვლევა, მათი სამართლებრივი შეფასება და შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სწორი და ხელმისაწვდომი რეკომენდაციების შემუშავება აღნიშნული დანაშაულის პრევენციისთვის. ძირითადი აქცენტი გაკეთდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემთხვევებზე, რომლებიც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. აქ იგულისხმება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში დასაქმებული პირის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რომელიც განხორციელდა უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და ამის დასაფარად გამოყენებულია სამსახურებრივი მდგომარეობა.

ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია ისტორიული კვლევის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მიმოხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მოკლე ზოგად-ისტორიული მხარე, მისი წარმოშობისა და განვითარების მოკლე რაკურსის გათვალისწინებით. გარდა ამისა, გამოყენებულია ლოგიკური კვლევის მეთოდი, შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომლის დახმარებითაც ქართული სამართლებრივი მოწესრიგება შედარებულია სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან; დედუქციური კვლევის მეთოდი - ნაშრომი იწყება ზოგადად ფულის გათეთრების დეფინიციით, ხოლო შემდგომ უკვე განხილულია კონკრეტულად სპეციალური ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის თავისებურებები; ანალიტიკური კვლევის მეთოდი - ნაშრომი, განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიცავს სხვადასხვა დასკვნებსა და ავტორისეული შეფასებებს. ყოველივე ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენებით ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატური მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობითაც თვალსაჩინო იქნება ნაშრომში განხილული თემის აქტუალურობა.

ნაშრომი შედგება შესავალის, დასკვნის, ოთხი თავისა და თერთმეტი ქვეთავისგან, რომელთაგან პირველი თავი ეთმობა ფულის გათეთრების ზოგად დახასიათებას და მის კრიმინოგენულ ანალიზს, მეორე თავში საუბარია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტურ და ობიექტურ შემადგენლობებზე, აგრეთვე აღნიშნული დანაშაულის განხორციელების გზებსა და მეთოდებზე. მესამე თავი ეთმობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სპეციალურ ამსრულებელს და აღნიშნულის მოწესრიგებას ქართული და უცხოური კანონმდებლობის მიხედვით, ხოლო მეოთხე თავში საუბარია ფულის გათეთრებასთან ბრძოლის გზებზე როგორც საერთაშორისო ისე ქართული გამოცდილების გათვალისწინებით.

## ლიტერატურის მიმოხილვა

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფართო მასშტაბებიდან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემა აქტუალურობას არ კარგავს, რაც განპირობებულია უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ეკონომიკის წინააღმდეგობრივი განვითარებით და სუსტი სახელმწიფო მმართველობის, ადმინისტრაციული ბარიერებით და არაეფექტური სამართლებრივი სისტემის არსებობით. მკვლევართა ერთსულოვანი აღიარებით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება იყოს ერთჯერადი რეფორმა ან დროში შეზღუდული პროცესი. ფულის გათეთრების პრევენცია საჭიროებს მუდმივ და განვითარებაზე ორიენტირებულ ძალისხმევას.

ემპირიულ გამოკვლევებში ამ ცხოვრებისეული მოთხოვნის გადაწყვეტის აუცილებლობა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა სპეციალური ამსრულებლის, საჯარო მოხელის, ან კერძო სექტორში დასაქმებული პირის მიერ ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენის დროს, ვინაიდან აღნიშნული ძირს უთხრის სახელმწიფო უწყებების ნორმალურ ფუნქციონირებას, სახელმწიფოს პრესტიჟს და განსაკუთრებით ნეგატიურად აისახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

იმისათვის, რომ ვუპასუხოთ კითხვას: რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ? - აუცილებელია გავაშუქოთ არსებული გამოკვლევების მდგომარეობა. გამოკვლევათა უმრავლესობა საქართველოში ხორციელდება შემდეგი მიმართულებით. მათ შორის ცალკე ჯგუფს განეკუთვნება გამოკვლევები, რომლებიც ასახავენ ფულის გათეთრების არსს და მისი, როგორც კომპლექსური დანაშაულებრივი მოვლენის განვითარების ისტორიას. შემდეგ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ფულის გათეთრებაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები(პოლიტიკური, ეკონომიკური და ა. შ.). ცალკე მიმართულებად უნდა გამოიყოს ფულის გათეთრების მეთოდების

კვლევა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ცალკე მიმართულებად გამოიყოს ფულის გათეთრების სპეციალური ამსრულებლის საკითხი,(სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება). და ბოლოს ცალკე მიმართულების სახით ფულის გათეთრებასთან ბრძოლის პოლიტიკის გამოკვლევები უნდა გამოვყოთ.

განვიხილოთ დაწვრილებით აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული გამოკვლევების თავისებურებები.

ფულის გათეთრების არსის გამოკვლევების თავისებურება. აღნიშნული გაშუქებულია ნაშრომებში: ს. ასანიძე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაციის ზოგიერთი საკითხი, გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, სამართალი, თბილისი, 2012 წელი; მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წელი; მ. შალიკაშვილი, ფულის გათეთრების საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2009 წელი; გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი.

გარდა ამისა, გამოცემულია ნაშრომები სადაც განიხილება ფულის გათეთრების კრიმინოგენული ანალიზი, ის ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ახდენენ ზეგავლენას ფულის გათეთრების მასშტაბებზე: ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოს გამოწვევები, თბილისი, 2018 წელი; ნ. სონგულია, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ზოგიერთი საკითხისათვის, სამეცნიერო ჟურნალი ახალგაზრდა ადვოკატები, თბილისი, 2016 წელი; ს. ასანიძე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაციის

ზოგიერთი საკითხი, გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, სამართალი, თბილისი, 2012 წელი.

ფულის გათეთრების მეთოდების თავისებურებების გამოკვლევას გამოყენებულია შემდეგი წყაროები: ნ. ოსაძე, ფულის გათეთრება ოფშორული ზონების გამოყენებით, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N1; ნ. ჭყოძე, გ. ტომარაძე, ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები ვირტუალური ვალუტების რეგულირება (BITCOIN-ის მაგალითზე); გ. შაშიაშვილი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლის სამართლებრივი პრობლემა, თბილისი, 2015 წელი.

რაც შეეხება ფულის გათეთრების სპეციალური ამსრულებლის საკითხს, ამ შემთხვევაში გამოყენებულია წყაროები: ა. შეყლაშვილი, კორუფცია პოლიტიკაში, ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, თბილისი, 2017 წელი; კორუფცია საქართველოში, კრიმინოგენული ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (რედ.) გ. ღლონტი, თბილისი, 2011 წელი; მ. შაყულაშვილი, კორუფციასთან ბრძოლის ძირითადი მიმართულებები დიდი ქალაქის პირობებში (ქ. თბილისის მაგალითზე), თბილისი, 2018 წელი.

და ბოლოს, ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მიმართულებით გამოყენებული წყაროებია: გ. შაშიაშვილი, პასუხისმგებლობა „ფულის გათეთრებისთვის“ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, სამართალი, თბილისი, 2012 წელი; საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო, საქართველოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის განხორციელება პრაქტიკაში, თბილისი, 2015 წელი; ფრანცისკო კარდონა, კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა და სააგენტოები, კარგი მმართველობის გზამკვლევი No03, 2015 წელი (ინგლისური ორიგინალის ქართული თარგმანი უზრუნველყო ჩრდილო

ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ); აგრეთვე გამოყენებულია უცხოენოვანი ლიტერატურა: FATF Report, Money Laundering Vulnerabilities of Free Trade Zones, 2010: <http://www.fatfgafi.org/media/fatf/documents/reports/ml%20vulnerabilities%20of%20free%20trade%20zones.pdf>; FATF Report, Money Laundering Using new payment methods, 2010: <https://www.fatfgafi.org/media/fatf/documents/reports/ML%20using%20New%20Payment%20Methods.pdf>; Wolfsberg Anti-Money Laundering Principles for Private Banking, 2012.

ამასთან, ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კუთხით მნიშვნელოვანია სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი საკანონმდებლო აქტები: საქართველოს კანონი, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია, 2003 წელი; საქართველოს კანონი, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ კონსოლიდირებული ვერსია, 1999 წელი; საქართველოს კანონი, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ - კონსოლიდირებული ვერსია, 1997 წელი; საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია, 1997 წელი; საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის N92 დადგენილება „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენცია, ვარშავა, 2005 წელი; ევროკავშირის კანონი „ფულის გათეთრების შესახებ“, 2005 წელი; „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენცია, პალერმო, 2000 წელი; „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების

მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ” ევროსაბჭოს კონვენცია, სტრასბურგი, 1990 წელი; კანონი „მძიმე კადეგორიის სისხლის სამართლის დანაშაულებიდან მიღებული მოგების გამოვლენის შესახებ”, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1993 წელი.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ინტერნეტრესურსები:<http://www.fatf-gafi.org/faq/membercountriesandobservers/> [ბოლო ვიზიტი, 24/05/2021]; <https://www.oecd.org/cleangovbiz/toolkit/moneylaundering.htm> [ბოლო ვიზიტი, 24/05/2021]; <https://www.fms.gov.ge/geo/page/egmont-group> [ბოლო ვიზიტი, 25/05/2021]; <https://www.egmontgroup.org/content/about> [ბოლო ვიზიტი, 25/05/2021]; [https://www.fms.gov.ge/Uploads/files/GEO\\_Annual\\_Report\\_2020\\_28.04.21.pdf](https://www.fms.gov.ge/Uploads/files/GEO_Annual_Report_2020_28.04.21.pdf) [ბოლო ვიზიტი, 06/06/2021]; <https://matsne.gov.ge/ka> [ბოლო ვიზიტი, 06/06/2021]; <https://eurasiangroup.org> [ბოლო ვიზიტი 09/06/2021]; <https://www.transparency.org> [ბოლო ვიზიტი 09/06/2021].

ძირითადად ფულის გათეთრების გამოკვლევებში გამოიყენება ფუნქციონალური მიდგომა, რომელიც შემოიფარგლება ლოკალური პრობლემატიკის აღწერით. აღსანიშნავია, რომ ავტორები, როგორც წესი, კონკრეტული ხასიათის პრობლემატიკით კმაყოფილდებიან, რის გამოც საბოლოოდ საზოგადოების და სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურისა და ფულის გათეთრების მიზეზების კავშირის საკითხი ღიად რჩება. თუმცა, მიღებული მონაცემების კომპლექსური დამუშავება საშუალებას იძლევა დადგინდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითადი მაპროვოცირებელი ფაქტორები და წარმოვადგინოთ მასთან ბრძოლის ეფექტური საშუალებები.



## თავი I. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ზოგადი დახასიათება

### 1.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არსი და მნიშვნელობა

ნებისმიერი მოვლენის შესწავლა პირველ რიგში მის ბაზისის - არსის განსაზღვრას საჭიროებს. ტერმინი „ფულის გათეთრება“ (ინგლ. Money laundering) პირველად ბრიტანულმა გაზეთმა „The Guardian“-მა გამოიყენა უოტერგეიტის სკანდალის პერიოდში რიჩარდ ნიქსონის საარჩევნო კამპანიის უკანონო დაფინანსების აღნიშვნისათვის.<sup>4</sup> ექსპერტების ვარაუდით, თანამედროვე გაგებით ფულის გარეცხვის ისტორია იწყება 1920-იანი წლებიდან, როცა აშშ-ში ამოქმედდა ე.წ. მშრალი კანონი.<sup>5</sup> იურიდიულ მეცნიერებაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მრავალი დეფინიცია არსებობს. 1984 წელს აშშ-ს პრეზიდენტთან არსებულ ორგანიზებული დანაშაულის აღკვეთი კომისიის მიერ ფულის გათეთრება განისაზღვრა, როგორც „პროცესი, რომლის შედეგადაც იმალება შემოსავლის წარმომავლობა, ასევე ამ შემოსავლების გარდაქმნა და გამოყენება იმგვარად, რომ არ დაექვემდებაროს იდენტიფიკაციას, როგორც დანაშაულებრივი გზით მიღებული.“<sup>6</sup>

განსხვავებული ფორმულირებაა მოცემული ინტერპოლის 1993 წლის საინფორმაციო ბიულეტენებში - „თავისი არსით ფულის გათეთრება არის მეთოდი, რომლის მიზანია უკანონო ქმედებების შედეგად მიღებული ფულით მაქინაციების წარმოება იმგვარად, რომ შედეგად მათი მიღების წყარო აღმოჩნდეს კანონიერი“.<sup>7</sup>

<sup>4</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი; 720-721 გვერდები;

<sup>5</sup> იქვე, 719 გვერდი;

<sup>6</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 17 გვერდი;

<sup>7</sup> იქვე, 17-18 გვერდები.

„ჭუჭყიანი“ ფული ორგანიზებული დანაშაულის მამოძრავებელი ძალაა, ფულის გარეცხვის პრობლემა პირდაპირ დაკავშირებულია ორგანიზებულ დანაშაულთან.<sup>8</sup> მაშასადამე, ფულის გათეთრება ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, რადგან დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა კრიმინალური შემოსავლები გამოსაყენებლად ვარგის რესურსებად უნდა გარდაქმნან, რამეთუ შემოსავალი, რომელსაც ვერ დახარჯავ შემოსავლად არ ითვლება.<sup>9</sup>

საქართველოში ფულის გათეთრების სისხლისსამართლებრივი ცნება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლში<sup>10</sup>, ასევე კანონში „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“.<sup>11</sup> დასახელებულ ნორმატიულ აქტებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განიმარტება, როგორც - უკანონო შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, გამოყენება, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ან/და ასეთი მოქმედების ჩადენის მცდელობა.<sup>12</sup>

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ანუ ფულის გათეთრება თავდაპირველი რედაქციით გულისხმობდა დანაშაულებრივი გზით

---

<sup>8</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 715 გვერდი;

<sup>9</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი; 715-716 გვერდები;

<sup>10</sup> სსკ 194-ე მუხლი;

<sup>11</sup> საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“;

<sup>12</sup> მამულაშვილი გ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის ფორმა და თანამედროვეობის გლობალური პრობლემა, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, ტურავა მ(რედ.). სტატიათა კრებული, მერიდიანი, 2013, 176 გვერდი.

მოპოვებული ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემას, რაც ერთგვარ პრობლემას ქმნიდა პრაქტიკაში, რადგან ქმედება დანაშაულად ითვლებოდა მხოლოდ სასამართლოს გამამტყუვნებელი განაჩენის არსებობისას.<sup>13</sup> ამდენად, იმისათვის, რომ დამდგარიყო საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით პირის პასუხისმგებლობის საკითხი, აუცილებელი იყო, სახეზე ყოფილიყო სასამართლოს გამამტყუვნებელი განაჩენი, რომლითაც დადგენილი იქნებოდა, პირის მიერ დანაშაულის ჩადენისა და ამ დანაშაულის შედეგად ქონების მოპოვების ფაქტი, რაც ცხადია, დიდ დროს მოითხოვდა და ხშირ შემთხვევაში დანაშაული დაუსჯელი რჩებოდა.<sup>14</sup> ყოველივე ამან განაპირობა ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში. თანამედროვე რედაქციით აუცილებელია არა ის, რომ ქონება იყოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, არამედ უკანონო და დაუსაბუთებელი.<sup>15</sup> მცირე შესწორებამ დიდი შედეგი გამოიღო, ბრალდების მხარეს გაცილებით უდავილდება სასამართლოში ამტკიცოს საკითხი, რომ ქონება არის უკანონო და დაუსაბუთებელი და შესაბამისად, მოახდინოს ამ ქონების ჩამორთმევა.<sup>16</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური სახეა, რომელიც უამრავი პრობლემის მომტანია სახელმწიფოსთვის (ეკონომიკური, სოციალური და ა. შ.), ხოლო ამ დანაშაულის გამოვლინებებმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

---

<sup>13</sup> სონგულია ნ. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ზოგიერთი საკითხისათვის, სამეცნიერო ჟურნალი ახლგაზრდა ადვოკატები, თბილისი, 2016 წელი, 81 გვერდი;

<sup>14</sup> იქვე;

<sup>15</sup> კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (რედ.). გ.დლონტი, თბილისი, 2011, 124 გვერდი;.

<sup>16</sup> ნ. სონგულია, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ზოგიერთი საკითხისათვის, სამეცნიერო ჟურნალი ახლგაზრდა ადვოკატები, თბილისი, 2016 წელი, 81 გვერდი;

## 1.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განვითარების ზოგადი ისტორია

ფულის გათეთრების მსგავსი ქმედება, როგორც სოციალური მოვლენა, ჯერ კიდევ ძველ დროში იყო ცნობილი.<sup>17</sup> შუა საუკუნეების ევროპაში მევახშეობა კათოლიკური ეკლესიის მიერ ისჯებოდა როგორც „მომაკვდინებელი ცოდვა“, ამიტომ მევახშეები და ვაჭრები მიმართავდნენ სხვადასხვა მეთოდს, რომელიც ფულის გათეთრების თანამედროვე ხერხებსაც კი უსწრებდა წინ.<sup>18</sup> მაგალითად, ვაჭრები მევახშეებთან წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე პროცენტებს იხდიდნენ ვადაგადაცილებული ჯარიმების ან რისკის კომპენსაციის დაზღვევის სახით. ამასთან, საბუთებში ისინი შეგნებულად ზრდიდნენ გაცვლით კურსს პროცენტების გადახდის დასაფარად.<sup>19</sup>

ფულის გათეთრების პრაქტიკის მდიდარი ისტორიის მანიშნებელია მე-17 საუკუნის დასაწყისში არსებული თანამედროვე „ფინანსური სამოთხეების“ პროტოტიპი - მეკობრეების საზღვაო თავშესაფრები.<sup>20</sup> ხმელთაშუა და კარიბის ზღვების აუზის ცალკეულ ქვეყნებს შორის მეკობრეებისა და მათი კაპიტალის მისაზიდად კონკურენცია მიმდინარეობდა. მეორე მხრივ, მეკობრეები რიგ შემთხვევებში დანაშაულის „გამოსასყიდად“ და სამშობლოში დაბრუნების უფლების მისაღებად მოგროვებულ ძვირფასეულობას იყენებდნენ.<sup>21</sup> 1612 წელს მოხდა დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების პირველი ამნისტია: ინგლისმა მეკობრეებს თავიანთ საქმიანობაზე ხელის აღების სანაცვლოდ შეწყალება და საკუთრების უფლების შენარჩუნება შესთავაზა.<sup>22</sup> ეს ფაქტი ოთხი ათწლეულით უსწრებს ანალოგიურ

<sup>17</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი. 11 გვერდი.

<sup>18</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი. 11 გვერდი;

<sup>19</sup> იქვე;

<sup>20</sup> იქვე;

<sup>21</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 11 გვერდი;

<sup>22</sup> იქვე;

შეთანხმებებს, რომლის მიღწევას სახელმწიფოებთან დღესაც ცდილობენ სხვილი ნარკომოვაჭრები.<sup>23</sup>

ექსპერტების ვარაუდით, თანამედროვე გაგებით ფულის რეცხვის ისტორია იწყება 1920-იანი წლებიდან, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მშრალი კანონის ამოქმედებით მკვეთრად გაიზარდა ორგანიზებული დანაშაულები.<sup>24</sup> სახელდობრ, აშშ-ს ე.წ. „მშრალი კანონი“ კრძალავდა ალკოჰოლური სასმელების თავისუფალ ბრუნვას, რამაც სათავე დაუდო ალკოჰოლის მასობრივ კონტრაბანდას (ბუტლეგერობა).<sup>25</sup> ამგვარი საქმიანობით მიღებული ფული იდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით სამრეცხაოების ქსელის განვითარებაში, რომელთა ანგარიშებიდან მიღებული შემოსავალი უკვე ლეგალურად გამოიყურებოდა.<sup>26</sup> სწორედ მაშინ „ჭუჭყიანი“ ფულის ლეგალიზაციის ამ ხერხს „გარეცხვა“ უწოდეს, რაც ხატოვნად გადმოსცემდა არალეგალურად მიღებული ფულის ლეგალურად გარდაქმნის პროცესის არსს.<sup>27</sup> ფულის გათეთრების ნათლიმამად მეიერ ლანსკი ითვლება.<sup>28</sup> აღ კაპონეს თანამებრძოლმა დაასკვნა, რომ შემოსავალი რომელიც არ იყო ცნობილი შიდა საგადასახადო სამსახურებისთვის არ ექვემდებარებოდა საგადასახადო დაბეგვრას.<sup>29</sup> აიღო რა საფუძვლად ეს პოსტულატი, მან დაიწყო არალეგალური ფულის დაფარვის გზების ძიება. სწორედ ის გახდა დღეისათვის ცნობილი ლეგალიზაციის უმეტესი მეთოდების აღმომჩენი.<sup>30</sup> მან პირველმა შეიგნო და შეაფასა

---

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალაძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 719-720 გვერდი;

<sup>25</sup> იქვე;

<sup>26</sup> იქვე;

<sup>27</sup> იქვე;

<sup>28</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 14 გვერდი;

<sup>29</sup> იქვე;

<sup>30</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალაძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების

შვეიცარიის ბანკების დანომრილი ანგარიშების, ბაჰამის ოფშორებისა და სათამაშო ბიზნესის უპირატესობანი.<sup>31</sup>

ტერმინი „ფულის გათეთრება“ პირველად პრესაში 1973 წელს გამოჩნდა, აშშ-ის პრეზიდენტ რ. ნიქსონთან დაკავშირებული უოტერგეიტის სკანდალის დროს.<sup>32</sup> კერძოდ, საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია ფინანსდებოდა ანონიმური შემოწირულობებით, რომლებიც, როგორც გვიან გაირკვა, ცრუმაგიერი კომპანიებიდან შესული გარეცხილი ფული იყო. თუმცა მაშინ ფულის გათეთრება არსად დანაშაულად არ ითვლებოდა.<sup>33</sup>

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკაში რევოლუციური ცვლილებები მოხდა. ევრობაზრის განვითარებით წარმოიქმნა ახალი ფინანსური ცენტრები - ლუქსემბურგი, სინგაპური, ჰონ-კონგი, პანამა და სხვ.<sup>34</sup> ტრანსნაციონალური კაპიტალი გათავისუფლდა „მეურვეობისგან“ და გამოვიდა ნაციონალური სახელმწიფოების იურისტიქციიდან.<sup>35</sup> მან დაიწყო თავისუფალი გადაადგილება მსოფლიოს მასშტაბით უფრო მომგებიანი ბაზრების ასათვისებლად.<sup>36</sup> თუ მკაცრი ფინანსური კონტროლის პირობებში სახელმწიფოს შეეძლო ეკონტროლებინა ნაციონალური სავალუტო ბაზარი, ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციისა და სავალუტო კონტროლის შემსუბუქების შედეგად ტრანსნაციონალურ კაპიტალს

---

კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 720 გვერდი;

<sup>31</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 14 გვერდი.

<sup>32</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 14 გვერდი;

<sup>33</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალაძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 720 გვერდი;

<sup>34</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 15 გვერდი;

<sup>35</sup> იქვე;

<sup>36</sup> იქვე;

ნებისმიერი სახელმწიფოს ბაზრის განადგურების შესაძლებლობა გაუჩნდა.<sup>37</sup>

პრაქტიკულად ყველა ტრანსნაციონალური ფინანსური სქემა გადის იმავე პერიოდში შექმნილ ოფშორებზე.<sup>38</sup> არსებობს უამრავი ე.წ. იატაკქვეშა საბანკო სიტემა, რომელიც თავის მხრივ კომპლექსური ოფშორული ზონაა.<sup>39</sup> ასეთი ბანკებია ჩინური „Cip System“ ან „Chop System“, პაკისტანურ-ინდური „Hundi System“ იგივე „Hawalah System“, რომელიც საშუალებას აძლევს ტრანსნაციონალურ კაპიტალს გაარიდოს სახსრები საგადასახადო დაბეგვრას.<sup>40</sup> ამრიგად, ახალ ეკონომიკურ გარემოში შეიქმნა მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში უნიკალური შესაძლებლობა „ჩრდილოვანი“ ეკომონიკის განვითარებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, რითაც მაშინვე ისარგებლეს ტერორისტულმა, ნარკობიზნესისა და სხვა ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა.<sup>41</sup> ცალკეულ სახელმწიფოებსა და მსოფლიო თანამეგობრობას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა - უნდა მოეხდინათ ფინანსურ ნაკადებსა და ფულის გათეთრებაზე კონტროლის გალიერება.<sup>42</sup> სწორედ ამიტომ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღსაკვეთად მიღებულ იქნა სწრაფი და გადამჭრელი ზომები, თუმცა, ზოგადად, დანაშაულობის აღმკვეთი გლობალური სისტემის ორგანიზების საკითხი მაინც ღიად რჩება.<sup>43</sup>

---

<sup>37</sup> იქვე;

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> ნ. ოსაძე, ფულის გათეთრება ოფშორული ზონების გამოყენებით, ჟურნალი მართლმსაჯლება და კანონი N1,125 გვერდი;

<sup>40</sup> იქვე;

<sup>41</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 15 გვერდი;

<sup>42</sup> იქვე;

<sup>43</sup> იქვე.

### 1.3 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინოგენული ანალიზი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ეფექტური აღკვეთისთვის აუცილებელია, ნათლად გავანალიზოთ ის ფაქტორები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ მასზე. ეს მიზეზები და პირობები შეგვიძლია დავაჯგუფოთ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით - საერთო სოციალური, ეკონომიკრი, სახელმწიფო-პოლიტიკური, სამართლებრივი და ა.შ.<sup>44</sup> შემოთავაზებული კლასიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა კომპლექსურად იქნეს ნაჩვენები ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ამ სფეროში და ამასთან, მათი ანალიზიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე ზემოქმედების ზოგად-სოციალური და სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომები.<sup>45</sup>

საქართველოში 80-იანი წლების ბოლომდე არ იყო ცნობილი ფულის გათეთრების პრობლემა, თუმცა, „პერესტროიკის“ დასაწყისისათვის საბჭოთა კავშირში წარმოიქმნა მნიშვნელოვანი მოცულობის „ჩრდილოვანი“ კაპიტალი.<sup>46</sup> „ჩრდილოვანი“ შემოსავლების მასშტაბური გათეთრება „პერესტროიკის“ წლებში დაიწყო, როდესაც 1988 წელს მიიღეს საბჭოთა კავშირის კანონი „კოოპერაციის შესახებ“.<sup>47</sup> ამ კანონით ნებადართული იყო კოოპერატივების შექმნა შემოსავლების დეკლარირების მოთხოვნის გარეშე, რაც „ჩრდილოვანი“ კაპიტალის გასათეთრებლად გზების ოფიციალურ გახსნას ნიშნავდა.<sup>48</sup> 90-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, ბირჟების, კაზინოებისა და სხვა კერძო საწარმოების შექმნა, მაგრამ კანონმდებლობა, რომლითაც მათი საქმიანობა უნდა

<sup>44</sup> ს. ასანიძე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაციის ზოგიერთი საკითხი, გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, სამართალი, თბილისი, 2012 წელი, 39 გვერდი;

<sup>45</sup> იქვე;

<sup>46</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 112 გვერდი;

<sup>47</sup> იქვე;

<sup>48</sup> იქვე;



დარეგულირებულიყო მოგვიანებით ჩამოყალიბდა.<sup>49</sup> საკანონმდებლო ხარვეზებმა, ფინანსური ინსტიტუტების საბაზრო სტანდარტებისადმი მოუმზადებლობამ დამნაშავეების მიერ უკანონო კაპიტალის დასაგროვებლად და გასათეთრებლად საბანკო დაწესებულებების გამოყენება განაპირობა.<sup>50</sup>

კრიმინოლოგიური თვალთახედვით ფულის გათეთრება არის სამართლებრივი ან არასამართლებრივი (ფაქტიური) ქმედება, რომლის მიზანია უკანონო წარმომავლობიდან მიღებული შემოსავლის კვალის ისე შენიღბვა, რომ მოხდეს უკანონოდ მიღებული ქონების, როგორც კანონიერის, ქვეყნის საფინანსო მიმოქცევაში ჩართვა.<sup>51</sup> მარტივი სიტყვებით რომ ვთქვათ, ფულის გათეთრება არის ხერხი, რომლის საშუალებით ხდება არალეგალური წარმოშობის ქონების დაფარვა.<sup>52</sup>

ისევე როგორც ნებისმიერი სახის დანაშაულობასთან ბრძოლის ქმედითი ხელშეწყობის, ფულის გათეთრების ეფექტური აღკვეთისთვის აუცილებელია გაანალიზებულ იქნეს ის ფაქტორები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ამ უკანასკნელზე.

კრიმინოლოგიაში სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით ასეთი ფაქტორების არაერთი კლასიფიკაცია არსებობს.<sup>53</sup> ყველა ძირითადი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: 1) ზოგადი ხასიათის ფაქტორები, რომლებიც ფულის გათეთრების სფეროზე ახდენენ ირიბ ზემოქმედებას; 2) კონკრეტული ხასიათის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ უშუალოდ უკანონო შემოსავლის

---

<sup>49</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 16 გვერდი.

<sup>50</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 112-113 გვერდები;

<sup>51</sup> მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წელი, 125 გვერდი;

<sup>52</sup> იქვე;

<sup>53</sup> იქვე;

ლეგალიზაციის სფეროში.<sup>54</sup> ამასთან, გამომწვევი მიზეზები და პირობები შეგვიძლია დავაჯგუფოთ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით - საერთო სოციალური, ეკონომიკური, სახელმწიფო-პოლიტიკური, სამართლებრივი, ტექნოლოგიური და სხვ.<sup>55</sup>

საერთო სოციალურ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებში შეგვიძლია გავაერთიანოთ მოსახლეობის მკვეთრი პოლარიზაცია.<sup>56</sup> როგორც ცნობილია, კრიმინალურ სიტუაციაზე ძლიერ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს შემოსავლების მიხედვით ქვეყნის მოსახლეობის ფენების მკვეთრი პოლარიზაცია.<sup>57</sup> ბუნებრივია, მოსახლეობის ღარიბი ფენა ცდილობს დაკარგულის ანაზღაურებას, მათ შორის სხვადასხვა სახის ეკონომიკური დანაშაულობის ჩადენით.<sup>58</sup> ხშირ შემთხვევაში, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, სწორედ ასეთი პირები გამოიყენებიან ფულის გათეთრების ოპერაციების განსახორციელებლად (მაგალითად მათი საიდენტიფიკაციო მონაცემებით, საბანკო ანგარიშებით სარგებლობა და ა.შ.);<sup>59</sup>

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე არსებით ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური ხასიათის ფაქტორები.<sup>60</sup> ამ ჯგუფების ფაქტორებს შორის შეგვიძლია მოვიაზროთ „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის არსებობა, რომელიც უკანონო შემოსავლების უმსხვილესი მწარმოებელი და ამავდროულად მომხმარებელიცაა, ასევე, მნიშვნელოვან ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ „საინვესტიციო შიმშილი“.<sup>61</sup> ცალკეული სახელმწიფოები არალეგალური კაპიტალის მიზიდვის პირობების შექმნით ცდილობენ, ეკონომიკური

<sup>54</sup> იქვე;

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 83 გვერდი;

<sup>57</sup> იქვე;

<sup>58</sup> იქვე;

<sup>59</sup> იქვე;

<sup>60</sup> ს. ასანიძე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაციის ზოგიერთი საკითხი, გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, სამართალი, თბილისი, 2012 წელი, 40 გვერდი;

<sup>61</sup> იქვე;

განვითარების დაფინანსების კანონიერი წყაროების არარსებობის კომპენსირება მოახდინონ.<sup>62</sup> მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის არ აქვს მნიშვნელობა ინვესტიციის წარმომავლობას, რაც რათქმაუნდა არ უნდა იქნეს გათვალისწინებული, ვინაიდან „გარეცხილი“ ფული იშვიათად რეინვესტირდება ლეგალურ საქმიანობაში და მისი უდიდესი ნაწილი ხმარდება ისევ არალეგალურ საქმიანობას, როგორებიცაა, ნარკოვაჭრობა, იარაღით უკანონო ვაჭრობა და ა.შ.<sup>63</sup> შესაბამისად, სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს შექმნას ისეთი საინვესტიციო კლიმატი, რომელიც ხელს შეუწყობს კანონიერი ინვესტიციის მოზიდვას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ადგლობრივი ბიზნესის განვითარებას, საექსპორტო კონკურენტუნარიანობის, დასაქმებულთა რაოდენობისა და ტექნოლოგიური შესაძლებლობების ამაღლებას.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხელშემწყობ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ კორუფცია. „შავი“ ფულის გათეთრება არღვევს ფინანსური ინსტიტუტების ფუნქციონირებას კორუფციითა და სახელმწიფოს ქონების არამიზნობრივი ფლანგვით, რომელიც ხორციელდება კორუმპირებული პირებისა და კრიმინალის მიერ.<sup>64</sup> კორუფცია შესაძლოა გამოვლინდეს პოლიტიკოსების გამდიდრებით, საჯარო სიკეთის მითვისებით და ეკონომიკური არაეფექტურობით. კორუფცია იტაცებს სახელმწიფოს როლს რესურსების გადანაწილებაში, რითაც ვნებს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს.<sup>65</sup>

---

<sup>62</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 85 გვერდი.

<sup>63</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 85 გვერდი;

<sup>64</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოს გამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 32 გვერდი;

<sup>65</sup> იქვე;

საბოლოოდ, შესაძლებელია ჩამოთვლილ იქნეს ის ფაქტორები, რომლებიც სხვადასხვა წყაროებშია დასახელებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხელშემწყობ მიზეზებად და პირობებად:<sup>66</sup>

- მოსახლეობის და ბიზნესის არაოფიციალური შემოსავლების დიდი ხვედრითი წილი, პარალელური ეკონომიკის ან შავი ბაზრის არსებობა;
- ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობაზე კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმების არასრულყოფილება;
- ფულადი სახსრების მოძრაობაზე კონტროლის მექანიზმების არარსებობა;
- ორგანიზაციებისა და ბანკების მიერ ოპერაციების წარმოებისას ოფშორული კომპანიების ფართო გამოყენება;
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი სუსტი იურიდიული ბაზა;
- დანაშაულის მაღალი ლატენტურობა;
- სახელმწიფო, სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებში, ასევე საფინანსო სექტორში კორუფციის არსებობა.<sup>67</sup>

---

<sup>66</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 92 გვერდი.

<sup>67</sup> ს. ასანიძე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაციის ზოგიერთი საკითხი, გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, სამართალი, თბილისი, 2012 წელი, 39-41 გვერდები.

## თავი II. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითადი შემადგენლობა

### 2.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური შემადგენლობა

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს (პალერმოს) 2000 წლის კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით,<sup>68</sup> ფულის გათეთრება მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა: წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების გარდაქმნა ან გადაცემა ამ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის ან დამალვის მიზნით ან ნებისმიერი პირისთვის დახმარების გაწევის მიზნით, რომელიც ძირითადი სამართალდარღვევის მონაწილეა, რათა თავი აარიდოს საკუთარი ქმედების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგებლობას, ასევე, წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ნამდვილი ხასიათის, წყაროს, ადგილის, განკარგვის ხერხის, გადაადგილების, ქონებაზე უფლების ან მისი კუთვნილების დაფარვა ან დამალვა.<sup>69</sup>

ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო 1990 წლის კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით,<sup>70</sup> ლეგალიზაცია მოიცავს ისეთ მოქმედებებს როგორებიცაა: საკუთრების გარდაქმნა ან გადაცემა იმის შეცნობით, რომ ასეთი საკუთრება არის დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალი, საკუთრების უკანონო წარმოშობის დაფარვის ან შენიღბვის მიზნით ან ნებისმიერი პირისთვის დახმარების გაწევის

---

<sup>68</sup> ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია, პალერმო, 2000 წელი, მე-6 მუხლი;

<sup>69</sup> გ. ნაჭყეზია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 774 გვერდი;

<sup>70</sup> ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ ევროსაბჭოს კონვენცია, სტრასბურგი, 1990 წელი, მე-6 მუხლი;

მიზნით ვინც მონაწილეობს ამგვარი ქმედების სამართლებრივ შედეგებს.<sup>71</sup>

ამრიგად, საერთაშორისო აქტების მიხედვით, ლეგალიზაცია არის დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ტრანსფორმაცია, რომლის მიზანია ეს ქონება ლეგალური ფორმებით მიღებულად წარმოაჩინოს. დანაშაულისგან დაცვის უშუალო ობიექტია ეკონომიკური სისტემა, უფრო კონკრეტულად კი ფინანსური სისტემა.<sup>72</sup>

ფულის „გათეთრების“ ობიექტური მხარე ორი ფორმით შეიძლება გამოიხატოს: პირველი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში ე.ი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემაში მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის მიზნით, ან/და სხვა პირისათვის პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებაში დახმარების მიზნით.<sup>73</sup> ობიექტური მხარის შემდეგი ნიშანია ამ ქონების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა.<sup>74</sup>

მსოფლიოში გამოყოფენ ფულის გათეთრების სხვადასხვა სტადიებს.<sup>75</sup> არსებობს ფულის გათეთრების ორსაფეხურიანი, სამსაფეხურიანი, ოთხსაფეხურიანი მოდელები.<sup>76</sup> ორსაფეხურიანი

---

<sup>71</sup> გ. ნაჭყეია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალაძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 774 გვერდი;

<sup>72</sup> იქვე;

<sup>73</sup> მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი - სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018 წელი, 569 გვერდი;

<sup>74</sup> იქვე;

<sup>75</sup> ნ. სონგულია, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ზოგიერთი საკითხისათვის, სამეცნიერო ჟურნალი ახლგაზრდა ადვოკატები, თბილისი, 2016 წელი, 83 გვერდი;

<sup>76</sup> გ. ნაჭყეია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალაძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 776 გვერდი.

მოდელი მოიცავს ფულის „გარეცხვას“ და ბრუნვაში დაბრუნებას.<sup>77</sup> ყველაზე პოპულარულია ფულის გათეთრების ე.წ. სამსაფეხურიანი მოდელი<sup>78</sup>, რომელიც მოიცავს - 1) განთავსებას, ე.ი. არალეგალური წყაროდან ფულის გადატანას ლეგალურში (მაგალითად, საბანკო გადარიცხვა რომელიმე ქვეყანაში), 2) „კვალის წაშლას“ - მრავალჯერადი ფინანსური ოპერაციები ერთი ქვეყნიდან მეორეში, 3) ინტეგრაციას, მრავალჯერადი ფინანსური ოპერაციების შემდეგ ლეგალიზებული აქტივების დაბრუნება ოფიციალურ ეკონომიკურ ციკლში (მაგალითად, ფულის ეკონომიკაში განთავსება ან უძრავ ქონებაში დაბანდება).<sup>79</sup> გაეროს ექსპერტები გამოყოფენ ფულის გათეთრების ოთხ სტადიას: 1) ნაღდი ფულისგან გათავისუფლება და გადარიცხვა ცრუმაგიერი პირების ანგარიშზე, 2) ნაღდი ფულადი საშუალებების განაწილება, 3) ჩადენილი დანაშაულის კვალის წაშლა, ამ სტადიაზე მთავარი ამოცანაა ყველა ზომის მიღება, რათა ვერავინ შეიტყოს ფულის წარმოშობის წყარო და განაწილების ადგილები, 4) ფულადი მასის ინტეგრაცია. გარეცხილი ფულის ინვესტირება ბიზნესის მომგებიან სფეროში.<sup>80</sup>

ყოველგვარი ფინანსური ოპერაცია უკანონო გზით მოპოვებულ ქონებასთან დაკავშირებით ლეგალიზაციის ნებისმიერ სტადიაზე დანაშაულებრივია და დაკვალიფიცირდება როგორც დამთავრებული

---

<sup>77</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 776 გვერდი;

<sup>78</sup> ნ. სონგულია, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ზოგიერთი საკითხისათვის, სამეცნიერო ჟურნალი ახლგაზრდა ადვოკატები, თბილისი, 2016 წელი, 83 გვერდი;

<sup>79</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 776 გვერდი;

<sup>80</sup> იქვე.

დანაშაული, ვინაიდან მიზნით დაფუძნებულ დელიქტთან გვაქვს საქმე.<sup>81</sup>

## 2.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტური შემადგენლობა

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტურ შემადგენლობასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში დავობენ, მხოლოდ პირდაპირ განსზრახვასთან გვაქვს საქმე თუ დასაშვებია არაპირდაპირი განსზრახვით მოცემული დანაშაულის ჩადენა.<sup>82</sup> ამ დანაშაულის არაპირდაპირი განსზრახვით შესაძლო განხორციელების არგუმენტად ასახელებენ ლეგალიზაციის პროცესის სირთულეს, რომლის ყველა დეტალის ცოდნა გამორიცხულია.<sup>83</sup> საკმარისია პირი უშვებდეს ფულის წარმოშობის დანაშაულებრიობას.<sup>84</sup> დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონებასთან მიმართებით ფინანსური ოპერაციისა თუ გარიგების განხორციელებისას პირი შესაძლოა შეგნებულად უშვებდეს ან გულგრილად ეკიდებოდეს მისი ლეგალიზაციის ფაქტს.<sup>85</sup> მაგალითად, ჭუჭყიანი ფულის უძრავ ქონებაში დაბანდებისას, ან უცხოური ვალუტის შეძენისას, დამნაშავე შესაძლოა სპეციალურად არც ისახავდეს მიზნად ფულისთვის მართლზომიერი სახის მიცემას. მას შესაძლოა სურდეს ფულის დაცვა ინფლაციისგან, ან უბრალოდ თვლიდეს კაპიტალის ჩადების ამგვარი ხერხი უფრო სარგებლიანია.<sup>86</sup>

---

<sup>81</sup> მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი - სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018 წელი, 570 გვერდი;

<sup>82</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალაძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 809 გვერდი;

<sup>83</sup> იქვე;

<sup>84</sup> იქვე;

<sup>85</sup> იქვე;

<sup>86</sup> იქვე.



მკვლევართა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ლეგალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.<sup>87</sup> ლეგალიზაციისას პირდაპირი განზრახვა იმას ნიშნავს, რომ პირი აცნობიერებს საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობას, წინასწარ განჭვრეტს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს მისი დადგომა ან აცნობიერებს ამგვარი შედეგის დადგომის გარდაუვლობას.<sup>88</sup> პირდაპირი განზრახვის მოდელი გავრცელებულია როგორც რომანულ-გერმანულ, ასევე საერთო სამართლის სისტემაშიც, ასე მაგალითად, აშშ-ის 1986 წლის კანონი ფულის გათეთრების შესახებ, ამ ნორმატიული აქტის შესაბამისად, ფულის გათეთრებასთან საქმე გვაქვს, თუ პირმა იცის, რომ ასეთ ოპერაციაში გამოყენებული სახსრები უკანონო შემოსავლის წყაროა, და თუ ეს პირი ახორციელებს ფინანსურ საქმიანობას, ან.<sup>89</sup>

- განზრახ უწყობს ხელს ასეთ უკანონო საქმიანობას;
- იცის, რომ ფინანსური ოპერაცია შემოსავლის წყაროს ნამდვილი ბუნების, ადგილმდებარეობის, ფლობისა და განკარგვის დაფარვისა და მითვისებისთვის ხორციელდება;
- იცის, რომ ოპერაციის განხორციელება აუცილებელია იმ კანონის მოთხოვნათა შესრულებისთვის თავის ასარიდებლად, რომელიც ოპერაციის შესახებ ანგარიშის წარდგენას ეხება.<sup>90</sup>

### *2.3 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხორციელების გზები და მეთოდები*

ფულის გათეთრების გამოვლენის ფორმების სრულყოფილი აღწერა მათი მრავალფეროვნების გამო დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, თუმცა, რამდენიმე ყველაზე გავრცელებული ფორმის ანალიზი უფრო გასაგებს გახდის ფულის გათეთრების

<sup>87</sup> გ. შაშიაშვილი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პრობლემა, თბილისი, 2015 წელი, 129 გვერდი;

<sup>88</sup> იქვე;

<sup>89</sup> კანონი ფულის გათეთრების კონტროლის შესახებ, აშშ, 1986 წელი;

<sup>90</sup> კანონი ფულის გათეთრების კონტროლის შესახებ, აშშ, 1986 წელი.

წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკულ მიდგომებსა და ხერხებს. ზემოაღნიშნულ ხერხებს შორის შეგვიძლია მოვიაზროთ ნაღდი ფულის გადარიცხვები.<sup>91</sup> დანაშაულებრივი ქმედებებით (ნარკობიზნესი, ყაჩაღობა, პროსტიტუცია) მოპოვებული ნაღდი ფულის გათეთრება პირველ რიგში წარმოებს საბანკო სექტორის მეშვეობით.<sup>92</sup> კრიმინალური გზით მოპოვებული ნაღდი ფული შესაძლებელია ადვილი დასადგენი გახდეს ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისთვის, ამიტომ ხდება ამ ფულის საბანკო ანგარიშებზე შეტანა, მრავალი გადარიცხვის განხორციელება, რის შემდეგაც იგივე თანხა შესაძლებელია ისევ უკან, მისი მოპოვების ადგილზე დაბრუნდეს, უკვე გათეთრებული, ლეგალური ფორმით, რაც უფრო ნაკლები საფრთხის შემცველია, ვიდრე ეს თანხა ადგილზე, გათეთრების გარეშე ყოფილიყო ქვეყნის ეკონომიკაში ინტეგრირებული.<sup>93</sup> ამ ოპერაციების განხორციელებისთვის მნიშვნელოვან როლს სწორედ ბანკები და ფულად-საკრედიტო ინსტიტუტები ასრულებენ.<sup>94</sup>

ასევე ფულის გათეთრების ეფექტურ საშუალებას იძლევა სხვადასხვა არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები - სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო და სხვადასხვა ფონდები, ფულადი გზავნილების სისტემები მკაცრ კონკურენციას უწევენ ბანკებს ლეგალურ ბიზნეს ბაზარზე და აქტიურად გამოიყენებიან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის, ხელს უწყობს მათი ფინანსური სიმძლავრე.<sup>95</sup> სადაზღვევო პროდუქტის მეშვეობით განხორციელებული ფულის გათეთრების სქემა მარტივია. უკანონო შემოსავლების მფლობელი სადაზღვევო სააგენტოსთან დებს

---

<sup>91</sup> მ. შალიკაშვილი, ფულის გათეთრების საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2009 წელი, 116 გვერდი;

<sup>92</sup> იქვე;

<sup>93</sup> იქვე;

<sup>94</sup> იქვე;

<sup>95</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 60 გვერდი.

გარიგებას, რომელიც ითვალისწინებს გადახდის გარკვეული შემთხვევის (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომას. დამნაშავე საბანკო ანგარიშზე ათავსებს თანხებს ნაღდი ფორმით, მაგრამ ბანკი, რომელიც იცნობს სადაზღვევო კომპანიას, არ ამოწმებს სახსრების წარმოშობის წყაროს.<sup>96</sup> სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ უკვე გათეთრებული ფული ბრუნდება კლიენტის ანგარიშზე. საჭიროა მხოლოდ შესაბამისი სადაზღვევო შემთხვევის დადგომა, რისი ინსცენირებაც გამოცდილი ფულის გათეთრებლისთვის პრობლემა არ არის.<sup>97</sup>

არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების მიერ ფულის გათეთრების ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ასევე ფულის გათეთრება ბირჟებისა და საფონდო ბაზრის მეშვეობით. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით საფონდო ბაზრის გამოყენება სულ უფრო მეტად მიმზიდველი ინსტიტუტია, ვინაიდან მას ახასიათებს მრავალფეროვნება, ვაჭრობის პირობების სიმარტივე და შესაძლებლობა ადვილად განახორციელო ტრანსნაციონალური ოპერაცია. საფონდო ბაზარს უზარმაზარი მოცულობა და ბრუნვები აქვს, ფულის გათეთრების თვალსაზრისით კი ბაზრის ეს თვისებები საუკეთესო საშუალებაა არალეგალური ოპერაციების შესანიღბად.<sup>98</sup>

ფულის გათეთრებისათვის ხშირად გამოიყენება „მოჩვენებითი ფირმები“ და ანგარიშები.<sup>99</sup> მოჩვენებითი ფირმა არის ორგანიზაცია, რომელიც სამართლებრივად არსებობს და ფორმალურად, სამართალდამცავი თუ სხვა სახელმწიფო ორგანოების თვალის ასახვევად ჩვეულებრივ ბიზნეს საქმიანობას ეწევა.<sup>100</sup> ასეთ ფირმებს აქვთ საკუთარი მმართველობის ორგანო, ფილიალები, ჰყავთ

<sup>96</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 60 გვერდი;

<sup>97</sup> იქვე, 61 გვერდი;

<sup>98</sup> იქვე, 63 გვერდი;

<sup>99</sup> მ. შალიკაშვილის სტატია, ფულის გათეთრების საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2009 წელი, 116 გვერდი;

<sup>100</sup> იქვე.

თანამშრომლები და სხვ., თუმცა ასეთი სიმბოლური ფორმები წესდებით გათვალისწინებულ ეკონომიკურ საქმიანობას ან საერთოდ არ მისდევენ, ან მათი საქმიანობა და შემოსავალი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.<sup>101</sup> აღსანიშნავია ასევე ფულის გათეთრება მოჩვენებითი ანგარიშების მეშვეობით, რომლებიც რეალური, მოქმედი ფორმების სახელით ხორციელდება.<sup>102</sup> მაგალითად, ეკონომიკური სიძნელეების მქონე ა. მივიდა ბ.-სთან, რომელიც ა.-ს ინფორმაციით კრიმინალურ საქმიანობაში არის გარეული. კერძოდ, ა.-სთვის ცნობილი იყო, რომ ბ. საქმიანობდა კრიმინალურ ორგანიზაციასთან ერთად, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის მიცემული ეკონომიკური დახმარების ნაწილს საკუთარ ანგარიშებზე რიცხავდა. ა.-მ გახსნა საბანკო ანგარიში აშშ დოლარში და გაუფორმა ბ.-ს სიმბოლური ხელშეკრულება საქონლის მიწოდების თაობაზე, რის შემდეგაც ბ.-მ ა.-ს 420 ათასი აშშ დოლარი გადაურიცხა. სინამდვილეში ზემოაღნიშნულ პირებს შორის არავითარი საქონლის მიწოდება არ განხორციელებულა. ა. ვალდებული იყო, ბ.-ს მიერ მისთვის მიცემული 420 ათას აშშ დოლარი გარკვეული დროის შემდეგ პროცენტებით დაებრუნებინა ბ.-სთვის. სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოძიების შედეგად დაადგინეს, რომ აღნიშნული თანხა რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედ კრიმინალურ ორგანიზებულ ჯგუფ „ობშიაკას“ ეკუთვნოდა, რომელიც დანაშაულებრივი გზით იყო შეგროვებული.<sup>103</sup>

ქონების შექმნა ნაღდი ფულით (მანქანები, იახტები, აქციები, ფუფუნების საგნები ან უძრავი ნივთები) ფულის გარეცხვის მნიშვნელოვან ხერხად ითვლება.<sup>104</sup> საექვოდ დიდი რაოდენობის

<sup>101</sup> მ. შალიკაშვილი, ფულის გათეთრების საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2009 წელი, 116 გვერდი;

<sup>102</sup> იქვე;

<sup>103</sup> იქვე;

<sup>104</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების

ნაღდი ფული გადაიყვანება იმავე ღირებულების, მაგრამ ნაკლებად საექვო ფორმებში, მაგ. შეიძინება ქონება, რომელიც მომავალში დანაშაულებრივი მიზნით იქნება გამოყენებული<sup>105</sup>

კაზინო და აზარტული თამაშების სხვა დაწესებულებები ფულის გარეცხვის დიდ შესაძლებლობას ფლობენ.<sup>106</sup> ის არალეგალური და კანონიერი ფონდების შერწყმის კარგი საშუალებაა და აქტიურად იყენებს ნაღდ ფულს, აგრეთვე თავის კლიენტებს ანონიმურობით უზრუნველყოფს.<sup>107</sup> კაზინოები ასევე სთავაზობენ ფინანსურ ოპერაციებს როგორებიცაა: კრედიტის, სეიფის მიცემა, ჩეკების გაყიდვა, ფულის გადაგზავნა.<sup>108</sup>

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხი ფულის გათეთრებისას არის ოფშორული ზონების გამოყენება.<sup>109</sup> ინტერესმოკლებული არ იქნება ყურადღება შევაჩეროთ, თუ რატომ ხდება კრიმინალური საყაროს მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის უდიდესი ნაწილის ოფშორულ ცენტრებში დაბანდება მისი გათეთრების მიზნით, კერძოდ:<sup>110</sup>

- ოფშორული ცენტრები კლიენტს სთავაზობენ ე. წ. „თავისუფლება, მომსახურება და შესაძლებლობას“. თავისუფლებაში იგულისხმება გადასახადებისგან თავისუფლება; თავისუფლება სარეზერვო აქტივების თანაფარდობის მოთხოვნისგან; თავისუფლება სარეზერვო აქტივების თანაფარდობის მოთხოვნისგან; თავისუფლება

---

კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 784 გვერდი;

<sup>105</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 784 გვერდი;

<sup>106</sup> იქვე, 787 გვერდი;

<sup>107</sup> იქვე, 787 გვერდი;

<sup>108</sup> იქვე, 787 გვერდი;

<sup>109</sup> ნ. ოსაძე, ფულის გათეთრება ოფშორული ზონების გამოყენებით, ჟურნალი მართლმსაჯლება და კანონი N1, 123 გვერდი;

<sup>110</sup> იქვე.

ინფორმაციის გამოაშკარავებისგან; მომსახურება გულისხმობს კლინტის პერსონალურ და კორპორატიულ მომსახურებას; ოფშორული კაპიტალის მენეჯმენტსა და გლობალურ მეურვეობა-მზრუნველობას;<sup>111</sup>

- ინდივიდუალური მეწარმეები თუ ტრანსნაციონალური კორპორაციები ოფშორულ ზონებს იყენებენ, როგორც თავიანთი კონფიდენციალობისა და ბიზნეს გარემოში კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად;<sup>112</sup>
- ოფშორულ ცენტრებს აქვთ „მოდრავი ანგარიში“, ხშირ შემთხვევაში კრიმინალები ანგარიშს ერთ იურისდიქციაში მყოფ ბანკში ხსნიან, მაგრამ საბანკო ოპერაციას სხვა იურისდიქციაში ახორციელებენ. კერძოდ, ერთი იურისდიქციის ბანკში ანგარიშის გახსნის შემთხვევაში, ხდება მეორე ბანკის გაფრთხილება, რათა ამ უკანასკნელმა ტრანსფერი განახორციელოს სხვა იურისდიქციის ბანკში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული „მოდრავი ანგარიში“ სამართალდამცავებს დიდ პრობლემას უქმნის ე. წ. შავი ფულის კონფისკაციისას;<sup>113</sup>
- უმეტესი ოფშორული ცენტრები პირდაპირ კავშირში იმყოფებიან კაზინოებთან. კერძოდ კი, აღნიშნული კავშირის საშუალებით ფულის გათეთრება ხდება შემდეგი სქემით: ფულის გათეთრების მესვეურები გასათეთრებელი ფულით ყიდულობენ სათამაშო ჩიპებს და თამაშობენ კაზინოში. შემდეგ აბრუნებენ ჩიპებს და იღებენ ქვითარს, რითიც მიდიან რომელიმე ბანკში მოგებულ თანხის გასანადღებლად. აღნიშნული პროცესის დროს, არავინ ინტერესდება თუ საიდან

---

<sup>111</sup> ნ. ოსაძე, ფულის გათეთრება ოფშორული ზონების გამოყენებით, ჟურნალი მართლმსაჯლება და კანონი N1, 123 გვერდი;

<sup>112</sup> იქვე;

<sup>113</sup> იქვე.

გაჩნდა გასათეთრებელი ფული, რომელიც საბოლოოდ მოგებულ თანხად უბრუნდებათ;<sup>114</sup>

- ოფშორულ ცენტრებს მჭირდო კავშირი აქვთ ე.წ. ხელშემწყობ აგენტებთან, რომლებიც შუამავლობენ კლიენტებთან. ხელშემწყობი აგენტების შეთავაზება ითვალისწინებს ფინანსურ კონსულტაციებს/რჩევებს და კლიენტის დარწმუნებას ფინანსური ცენტრით სარგებლობის უპირატესობაში.<sup>115</sup>

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მეთოდებს შორის უახლესია ელექტრონული ვალუტების გამოყენება აღნიშნული დანაშაულის ჩასადენად.<sup>116</sup> ფორმატის მიხედვით ფული შეიძლება დაიყოს ფიზიკური და ციფრული ფორმის ფულად.<sup>117</sup> ფიზიკური ფორმის მქონე ვალუტები ტრადიციულად ორ ტიპად იყოფა: რეგულირებადი ვალუტები, როგორებიცაა ცენტრალური ბანკების ან მისი ფუნქციების შემსრულებელი სხვა ორგანოს მიერ ემიტირებული ბანკნოტები და მონეტები და არარეგულირებადი ე.წ. ლოკალური/კერძო ფული<sup>118</sup>. ანალოგიურად, ციფრული ფორმატის ვალუტებში შეიძლება გამოიყოს რეგულირებადი ციფრული ვალუტები, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია კომერციული ბანკის ფული. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება ელექტრონული ფულიც, რომელიც:<sup>119</sup>

- წარმოადგენს მოთხოვნას მისი გამომშვების მიმართ;
- შენახულია ელექტრონულად;

---

<sup>114</sup> ნ. ოსაძე, ფულის გათეთრება ოფშორული ზონების გამოყენებით, ჟურნალი მართლმსაჯლება და კანონი N1, 123-125 გვერდები;

<sup>115</sup> იქვე;

<sup>116</sup> ნ. ჭყოიძე, გიორგი ტომარაძე, ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები ვირტუალური ვალუტების რეგულირება (BITCOIN-ის მაგალითზე), 41 გვერდი;

<sup>117</sup> იქვე;

<sup>118</sup> იქვე;

<sup>119</sup> ნ. ჭყოიძე, გიორგი ტომარაძე, ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები ვირტუალური ვალუტების რეგულირება (BITCOIN-ის მაგალითზე), 42 გვერდი.

- გამოშვებული მონეტარული სიდიდე ექვივალენტურია ფულადი საშუალების ოდენობისა;
- აღიარებულია გადახდის საშუალებად გამომშვების გარდა სხვა პირების მიერ.<sup>120</sup>

ვირტუალური ვალუტის სამი ძირითადი სახე გამოიყოფა:<sup>121</sup>

- დახურილი ვირტუალური ვალუტის სქემა: ვირტუალურ ვალუტას არ აქვს კავშირი რეალურ ეკონომიკასთან. ასეთი ვალუტები ძირითადად თამაშებისთვის გამოიყენება;
- ცალმხრივი ვირტუალური ვალუტის სქემა: ვირტუალური ვალუტა შესაძლებელია შეიძინ რეალური ფულის სანაცვლოდ, თუმცა უკუგადაცვლა არ არის ნებადართული;
- ორმხრივი ვირტუალური ვალუტის სქემა: ვირტუალური ვალუტის ყიდვა და გაყიდვა შესაძლებელია რეალური ვალუტის სანაცვლოდ. ასევე შეზღუდვის გარეშე შესაძლებელია რეალური საქონლისა და მომსახურების შეძენა.<sup>122</sup>

ფულის ციფრულად შენახვისა და ელექტრონული საგადასახადო სისტემების დაარსებისთანავე გაჩნდა მათი არსებობის უზრუნველყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების შესრულების საჭიროება, კერძოდ:

- დანაწევრების შესაძლებლობა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ფულის გათეთრების აქტივობაში ჩართული პიროვნებებისთვის;
- ტრანსფერის განხორციელების შესაძლებლობა;

<sup>120</sup> ნ. ჭყოიძე, გიორგი ტომარაძე, ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები ვირტუალური ვალუტების რეგულირება (BITCOIN-ის მაგალითზე), 42 გვერდი;

<sup>121</sup> იქვე;

<sup>122</sup> იქვე.



- ანონიმურობა, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ფულის გათეთრების აქტივობებში ჩართული პიროვნებებისთვის.<sup>123</sup>

ცენტრალიზებული სისტემის დროს ვალუტის გამოშვება ხორციელდება მესამე მხარის მიერ, რომელიც მის მიერ დანერგილი აღრიცხვისა და უსაფრთხოების სისტემების საშუალებით უზრუნველყოფს ჩამოთვლილი მოთხოვნების შესრულებას.<sup>124</sup> დეცენტრალიზებული სისტემის შემთხვევაში კი ციფრული ვალუტა იქმნება წინასწარ განსაზღვრული ალგორითმით და არ არსებობს ცენტრალური ორგანო, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ფულის ემისიაზე.<sup>125</sup> ასეთ ვალუტას წარმოადგენს ბიტკოინი და მსგავსი ვირტუალური ვალუტები. დეცენტრალიზებული სისტემების გაჩენასთან ერთად ჩნდება ტერმინი კრიპტოგრაფიული ვალუტები, რომლებიც იყენებენ კრიპტოგრაფიულ მეთოდებს ტრანზაქციების განხორციელების, მათი უცვლელობის დაცვის, ორმაგი გადახდის თავიდან აცილებისა და ახალი ფულის შექმნის კონტროლისთვის.<sup>126</sup> ბიტკოინის ქსელს არ გაააჩნია ცენტრალური სანდო პირი, რომელიც აწარმოებდა ცენტრალიზებულ აღრიცხვას.<sup>127</sup> საერთო ბუღალტერიის წარმოება დამოკიდებულია იმ მომხმარებლებზე, რომლებიც თავიანთი კომპიუტერების გამოთვლითი სიმძლავრეების ნაწილს „გადასცემენ“ ბიტკოინის ქსელის განკარგულებაში, რათა მოხდეს განხორციელებული ტრანზაქციების რეკონსილაცია და შენახვა ბლოკების ჯაჭვში.<sup>128</sup> მიუხედავად დეცენტრალიზაციისა, ცალკეული მომხმარებლების ან მომხმარებელთა ჯგუფის მიერ წინააღმდეგობრივი ტრანზაქციების გენერირების შემთხვევაში ისინი

<sup>123</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოს გამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 75 გვერდი;

<sup>124</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოს გამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 75 გვერდი;

<sup>125</sup> იქვე;

<sup>126</sup> იქვე;

<sup>127</sup> იქვე;

<sup>128</sup> იქვე.

შეიძლება არ დადასტურდნენ მანამ, სანამ ქსელის მომხმარებელთა უმრავლესობა იცავს მიღებულ წესებს.<sup>129</sup> რაც ნაკლებია ბიტკოინის ქსელის მონაწილეთა რაოდენობა, მით უფრო მარტივია ინდივიდებისთვის ფულის გათეთრება. ახალ ბლოკებს მომხმარებელთა უმრავლესობა ადასტურებს. შესაბამისად, არსებობს ე.წ. 51%-იანი შეტევის საშიშროება. კერძოდ, თუ რომელიმე მომხმარებელი ან მათი ჯგუფი მოახერხებს სიმძლავრეების ასეთი წილის თავმოყრას, მას შეეძლება პრაქტიკულად ერთპიროვნულად აწარმოოს საერთო ბუღალტერია, რაც დაასრულებს ბიტკოინის დეცენტრალიზებულ სტრუქტურას და შესაძლებელს გახდის თაღლითური ტრანზაქციების განხორციელებას.<sup>130</sup> განვლილ პერიოდში არცერთ მონაწილეს არ მიუღწევია ასეთი დიდი წილისთვის, თუმცა იყო შემთხვევა, როცა მომპოვებელთა ორი გაერთიანება ჯამში გამოთვლილი სიმძლავრეების 52%-ს აკონტროლებდა.<sup>131</sup> მომპოვებელთა გაერთიანებების წილი საერთო სიმძლავრეში მუდმივად კონტროლდებოდა.<sup>132</sup> ბიტკოინების ანონიმურობა განისაზღვრება შემდეგი მიზეზებით: ბიტკოინების მისამართები არ ეფუძნება იდენტიფიცირებას, არავინ იცის, თუ ვინ განახორციელა ტრანსფერი და აღნიშნულიდან გამომდინარე იგი ვირტუალური ვალუტაა, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ფულის გასათეთრებლად.<sup>133</sup>

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტური ზომების გატარება ევროკავშირის წევრი ქვეყნების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. სწორედ ამ მიზნით იქნა ევროსაბჭოს მიერ 2001 წლის 26 ივნისს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ გადაწყვეტილება

<sup>129</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 75 გვერდი;

<sup>130</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 76 გვერდი;

<sup>131</sup> იქვე;

<sup>132</sup> იქვე;

<sup>133</sup> იქვე.

მიღებული, რომელიც გულისხმობს გარკვეული პრევენციული ზომების გატარებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული და ნებისმიერი ფორმით გამოვლენილი დანაშაულებრივი ქმედებები.<sup>134</sup>

---

<sup>134</sup> მ. შალიკაშვილი, ფულის გათეთრების საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2009 წელი, 119 გვერდი.

### თავი III. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სპეციალური ამსრულებელი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ამძიმებს პასუხისმგებლობას, თუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითაა ჩადენილი.<sup>135</sup> ამ შემთხვევაში კანონმდებელი სპეციალურ ამსრულებელზე მიუთითებს. ასეთად შეიძლება მოგვევლინონ როგორც თანამდებობის პირები, ისე ისინი, ვინც ასრულებენ მმართველობით ფუნქციებს კომერციულ და სხვა ორგანიზაციებში, აგრეთვე ისეთი პირები, რომლებიც არ არიან აღჭურვილი თანამდებობის პირის სტატუსით, მაგალითად, სახელმწიფო და მუნიციპალური სამსახურების თანამშრომლები, საწარმოთა მუშაკები და სხვ.. აღნიშნულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ მათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას მითვისებულ ქონებასთან დაკავშირებით თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობა და უფლებამოსილება გამოიყენეს.<sup>136</sup>

ამრიგად, ამ შემთხვევაში ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას იყენებს.<sup>137</sup> იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამსრულებელი თანამდებობის პირი უნდა იყოს. ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ რუსი მეცნიერი, ა. ბოიცოვი, მართებულად აღნიშნავს, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ნიშნავს დანაშაულისათვის არა თანამდებობის, არამედ სამსახურებრივი მოვალეობის გამოყენებას. შესაძლებელია, რომ დანაშაული ჩაიდინოს რიგითმა მუშაკმა თავისი ფუნქციურად აღჭურვილი მოვალეობის ფარგლებში.<sup>138</sup>

<sup>135</sup> სსკ 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი;

<sup>136</sup> მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წელი, 145 გვერდი;

<sup>137</sup> იქვე;

<sup>138</sup> იქვე.

### 3.1 მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კორუფცია. არ არსებობს კორუფციის უნივერსალური განსაზღვრება. საერთაშორისო გამჭვირვალობის (TI) განსაზღვრებით კორუფცია არის „მინდობილი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება არალეგიტიმური სარგებლის მიღების მიზნით.<sup>139</sup> კორუფციის ერთ-ერთ საყოველთაოდ გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს პოლიტიკური კორუფცია, რომელიც დეფინიციურად სახელმწიფო სექტორს, საჯარო სექტორს მოიცავს.<sup>140</sup> საყოველთაოდ აღიარებული ერთ-ერთი ვიწრო დეფინიციის თანახმად, პოლიტიკურ კორუფციას ახასიათებს ძალაუფლებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება საკუთარი უპირატესობებისათვის და ამასთან ფართო მასების საზიანოდ.<sup>141</sup> ამ დეფინიციის თანახმად, გადამწყვეტი არ არის, თუ რა გზით ხორციელდება ძალაუფლებრივი მდგომარეობის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება - პირდაპირით თუ არაპირდაპირით. ასევე სრულიად ირელევანტურია, კერძო სარგებელში ნაღდი ფული იგულისხმება თუ სხვა სახის მატერიალური საჩუქრები.<sup>142</sup>

ეკონომიკური თვალსაზრისით კორუფცია არის საკუთრების უფლების არალეგიტიმური მითვისება და რეალიზაცია საჯარო თანამდებობის პირების მიერ ნებისმიერი ფორმის საკუთრების და საზოგადოებრივი რესურსების მიმართ პირადი, ვიწროჯგუფური ან

---

<sup>139</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობის ვებ-გვერდი, <https://www.transparency.org/en/what-is-corruption> [ბოლო ვიზიტი, 09/06/2021 წ.];

<sup>140</sup> ა. შეყლაშვილი, კორუფცია პოლიტიკაში, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, თბილისი, 2017 წელი, 94 გვერდი;

<sup>141</sup> იქვე;

<sup>142</sup> ა. შეყლაშვილი, კორუფცია პოლიტიკაში, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, თბილისი, 2017 წელი, 94 გვერდი.

კორპორაციული ინტერსების დაკმაყოფილების მიზნით მათ ხელში არსებული ძალაუფლების გამოყენებით.<sup>143</sup>

საზოგადოებრივ-სოციალური კუთხით კორუფცია არის საჯარო თანამდებობის პირების მიერ კანონსაწინააღმდეგო (დევიანტური) და საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული ქცევა, რომელიც გამოიხატება მათი უფლებამოსილების, მასთან დაკავშირებული შესაძლებლობების, აგრეთვე, სტატუსიდან და ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე მათთვის ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი რესურსების არალეგიტიმურ, პირადი, ვიწროჯგუფური ან კორპორაციული სარგებლის მიღებისათვის გამოყენებაში.<sup>144</sup>

FATF-ის მიერ დადგენილ იქნა იმ პოლიტიკოსების წრე, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური გავლენით ფულის გათეთრების ყველაზე დიდი შესაძლებლობა აქვთ. მათ შორის არიან ქვეყნის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების პირველი პირები, მთავრობის წევრები და პოლიტიკოსები, იუსტიციის, საფინანსო და თავდაცვის მაღალჩინოსნები, პოლიტიკური პარტიების ლიდერები. ევროკავშირის მიერ 2005 წლის 15 დეკემბერს „ფულის გათეთრების შესახებ“ მიღებული კანონის მიხედვით, პოლიტიკოსთა წრეს მიეკუთვნება ასევე მაღალჩინოსანი სახელმწიფო წარმომადგენლების ოჯახის წევრები და მათთან დაახლოებული პირები, ვინაიდან ხშირად სწორედ ისინი არიან ფულის გათეთრების შედეგად მიღებული მოგების ადრესატები, რომელთა ანგარიშზეც ხდება პოლიტიკოსების მიერ გათეთრებული ფულის გადარიცხვა.<sup>145</sup>

---

<sup>143</sup> ა. შეყლაშვილი, კორუფცია პოლიტიკაში, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, თბილისი, 2017 წელი, 94 გვერდი;

<sup>144</sup> იქვე;

<sup>145</sup> ევროკავშირის 2005 წლის კანონი „ფულის გათეთრების შესახებ“;

იმ ფულადი სახსრების წყარო, რომელიც გავლენიან პოლიტიკურ პირს სურს გაათეთროს, შეიძლება იყოს ქრთამი, ასევე კორუფციასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლები (მითვისებული სახელმწიფო სახსრები, პოლიტიკური პარტიების სახსრები და ა.შ.). ბუნებრივია, რიგ შემთხვევაში გავლენიანი პოლიტიკური პირი შეიძლება ჩართული იყოს ისეთ უკანონო საქმიანობაში, როგორცაა ორგანიზებული დანაშაულობა, ან ნარკოტიკებით ვაჭრობა. ამკარაა, რომ გავლენიანი პოლიტიკური პირები ისეთი ქვეყნებიდან თუ ტერიტორიებიდან, სადაც კორუფციის მაღალი დონე აღინიშნება, პოტენციური რისკის ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ კორუმპირებული გავლენიანი პოლიტიკოსები პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში არიან. გავლენიანი პოლიტიკური პირები ხშირად იყენებენ აგენტებს ან სხვა შუამავლებს თავიანთი ქსელით ფინანსური ოპერაციების განსახორციელებლად. ამ გზით, პოლიტიკურად გავლენიანი პირი თავს არიდებს მაკონტროლებელი ორგანოების არასასურველ ყურადღებას.<sup>146</sup>

ვინაიდან მაღალჩინოსანი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ხელშეუხებლობის უფლებით (იმუნიტეტით) სარგებლობს, მათ მიერ განხორციელებული დანაშაულის შემცველი ფინანსური ოპერაციები ძნელი დასადგენია. გათეთრებული ფულის დიდი ნაწილი ოფშორულ ზონებში არსებული ფირმების საბანკო ანგარიშებზე ირიცხება და აღნიშნული ფაქტების სრული გამოძიება სამართალდამცავი ორგანოებისათვის რთული და მიუწვდომელია.<sup>147</sup>

ხშირად ფულის გათეთრებას ახორციელებენ პოლიტიკოსების უკან მდგომი პირები: მათი ოჯახის წევრები, მეგობრები, ადვოკატები, ან მათ მიერ დაქირავებული პირები. გამოძიებას ართულებს ის ფაქტიც, რომ ხშირად განხილული დანაშაულის სუბიექტებად გამოდიან

<sup>146</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 73-74 გვერდები;

<sup>147</sup> მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წელი, 117 გვერდი.

დიპლომატიური სტატუსის მქონე პირები, რომელთა დაკავებაც გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება.<sup>148</sup>

კორუფციის თვალსაზრისით ყოველთვის დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პარტიათა დაფინანსებას და შემოწირულობებს პარლამენტის წევრებისთვის. ამ გზით, როგორც წესი ხდება მოქმედი სამართლებრივი ნორმების დარღვევისა და უგულვებელყოფის გამოწვევა.<sup>149</sup> დეპუტატები ყველა წარმომადგენლობითი დემოკრატიის ქვეყანაში ითვლებიან მთელი მოსახლეობის წარმომადგენლებად და ვალდებულნი არიან ემსახურონ ხალხის ინტერესებსა და საზოგადოებრივ კეთილდღეობას.<sup>150</sup>

შემოწირულობები და სხვა ფულადი საჩუქრები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია „ჭუჭყიანი“ ფულის აქტიურ ეკონომიკაში ინტეგრაციისთვის. ამასთანავე რთულია აღნიშნულის აღკვეთა და შესაბამისი რეაგირების მოხდენა სამართალდამცავი ორგანოებისთვის, ვინაიდან პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირებისთვის და მათი ფინანსების უზრუნველსაყოფად ნებისმიერ პირს შეუძლია შემოწირულობების გაცემა და ნაკლებია შესაბამისი ორგანოების მიერ აღნიშნული ფულის წარმოშობის კონტროლი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სამდივნოს მიერ გამოქვეყნებულ „კორუფციის აღქმის ინდექსის“ 2020 წლის კვლევაში<sup>151</sup>, რომელიც 180 ქვეყანას მოიცავს, საქართველოს 56 ქულა აქვს და 45-ე ადგილს იყოფს პოლონეთთან და სენტ-ლუსიასთან. ის გარემოება, რომ „კორუფციის აღქმის ინდექსში“ საქართველოს საშუალო შედეგი აქვს, რომელიც წლებია მნიშვნელოვნად არ

---

<sup>148</sup> მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წელი, 117 გვერდი;

<sup>149</sup> ა. შეყლაშვილი - კორუფცია და მისი პრევენციის საშუალებები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2018 წელი, 96 გვერდი;

<sup>150</sup> იქვე;

<sup>151</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობის 2020 წლის კვლევა, კორუფციის აღქმის ინდექსი, <https://www.transparency.org/en/cpi/2020/table/nzl> [ბოლო ვიზიტი 03/06/2021].



შეცვლილა,<sup>152</sup> მიუთითებს იმაზე, რომ მართალია ქვეყანამ გარკვეულ პროგრესს მიაღწია კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, თუმცა გადაუჭრელი რჩება მაღალი დონის კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც 2019 და 2018 წლების ანალოგიურ კვლევებშიც იყო ხაზგასმული. საერთაშორისო გამჭვირვალობის (TI) კვლევის მიხედვით, კორუფციასთან ბრძოლაში საქართველოს მთავარი გამოწვევებია:<sup>153</sup>

- ძალაუფლების გადაჭარბებული კონცენტრაცია ერთი პოლიტიკური ჯგუფის ხელში. სახელმწიფო ინსტიტუტების, განსაკუთრებით პარლამენტის სისუსტე საზედამხედველო ფუნქციის შესრულებისას. ოპოზიციის იგნორირება და გარიყვა პოლიტიკური პროცესიდან.
- არაფორმალური გავლენა საკვანძო ინსტიტუტებზე და სახელმწიფოს მიტაცების მზარდი ტენდენცია.
- ელიტური კორუფციის სავარაუდო შემთხვევების არაეფექტური გამოძიება და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა სამართალდამცავ უწყებებში.<sup>154</sup>
- ელიტური კორუფციის პრევენციისა და გამოძიების ქმედითი სისტემის (მათ შორის დამოუკიდებელი ანტიკორუფციული საგამომიებო უწყების) არარსებობა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონმდებლობით განისაზღვროს საჯარო მოხელეთა განსაკუთრებული კონტროლი, როგორც სამართლებრივი, ისე

---

<sup>152</sup> იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობის 2018 და 2019 წლის კვლევები, ორუფციის აღქმის ინდექსი, <https://www.transparency.org/en/cpi/2019/index/nzl>; <https://www.transparency.org/en/cpi/2018/index/dnk> ; [ბოლო ვიზიტი, 06/06/2021];

<sup>153</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობის 2020 წლის კვლევა, კორუფციის აღქმის ინდექსი, <https://www.transparency.org/en/cpi/2020/table/nzl> [ბოლო ვიზიტი 03/06/2021];

<sup>154</sup> იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მიერ მომზადებული კვლევა მაღალი დონის სავარაუდო კორუფციის გამოუძიებელ შემთხვევებზე. <https://www.transparency.ge/ge/blog/magali-donis-savaraudo-korupciis-gamouziebeli-shemtxvevebi-ganaxlebad-i-sia> [ბოლო ვიზიტი, 03/06/2021].

სოციალური და ეკონომიკური კუთხით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კონტროლის ეფექტური მექანიზმების არსებობა და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ასეთი კონტროლის მექანიზმების ეფექტურად აღსრულება, რაც გამორიცხავს კორუფციის რისკებს საჯარო მოხელეების მიერ. მდგომარეობის არებითი გაუმჯობესება შეუძლებელია მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და რეფორმების გარეშე. პირველ რიგში უნდა მოხდეს პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანად განხორციელება, ამაში იგულისხმება აგრეთვე, ოპოზიციის ქმედითი მონაწილეობისათვის სათანადო პირობების შექმნა; საჯარო ინსტიტუტებზე არაფორმალური გავლენისა და სახელმწიფოს მიტაცების სხვა ფორმების აღმოფხვრა; სასამართლოს დამოუკიდებლობისა და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა; დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა და ქმედითი რეაგირება კორუფციის, განსაკუთრებით მაღალი დონის კორუფციის შემთხვევებზე.

### *3.2 კერძო სექტორში დასაქმებული პირი, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი*

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.<sup>155</sup> როგორც უკვე აღინიშნა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, როგორც ფულის გათეთრების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი გარემოება, შესაძლებელია განახორციელოს როგორც საჯარო მოხელემ (ან მასთან გათანაბრებულმა პირმა), ასევე კერძო სექტორის წარმომადგენელმა.<sup>156</sup> ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ პირი თავის სამსახურებრივ მდგომარეობას(იმ შესაძლებლობებს ან/და პრივილეგიებს, რაც მას გააჩნია ამა თუ იმ თანამებობის გამო) იყენებს „ჭუჭყიანი“ ფულის

<sup>155</sup> სსკ. 194-ე მუხლის შენიშვნის მე-4 პუნქტი;

<sup>156</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 73 გვერდი.

აქტიურ კაპიტალად ქცევაში. ასეთები შეიძლება იყვნენ: კომერციული ბანკის წარმომადგენლები, სადაზღვევო კომპანიის თანამშრომლები და ა.შ. სხვადასხვა კორუმპირებული პირების მონაწილეობისა და მხარდაჭერის გარეშე ფულის გათეთრების ოპერაციები წარმატებით იშვიათად ტარდება. ხშირია დამნაშავეების მიერ მსხვილი მენეჯერების მოსყიდვისა და მათ უკანონო საქმიანობაში ჩართვის ფაქტები.<sup>157</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფულის გათეთრებისა და ფინანსური მაქინაციების დროს ადვოკატების, ნოტარიუსების და სხვა სამართლის, თუ ეკონომიკის ექსპერტების როლი. აღნიშნული პირები ფაქტობრივად ლეგალიზებას უკეთებენ დამნაშავე პირთა საქმიანობას.<sup>158</sup> მათ მიერ ხდება ფიქტიური ხელშეკრულებებისა და სხვადასხვა ფირმების დაფუძნება. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს იმის დამტკიცება, რა მიზნით მოქმედებდნენ და არიან კავშირში თუ არა ისინი დამნაშავე პირებთან.<sup>159</sup>

---

<sup>157</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 73 გვერდი;

<sup>158</sup> ნ. სონგულია, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ზოგიერთი საკითხისათვის, სამეცნიერო ჟურნალი ახლგაზრდა ადვოკატები, თბილისი, 2016 წელი, 87 გვერდი;

<sup>159</sup> იქვე.

## თავი IV. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის გზები და მეთოდები

### 4.1 საერთაშორისო თანამშრომლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო დანაშაულის აღკვეთის მიზნით მიღებულ იქნა ნორმები. 1989 წელს პარიზში „დიდი შვიდეულის“ წარმომადგენელი ქვეყნების შეხვედრაზე შეიქმნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი, Financial Action Task Force on Money Laundering (FATF), რომელიც მოიცავს 37 სახელმწიფოსა და ორ რეგიონულ ორგანიზაციას - ევროკომისიასა და სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს.<sup>160</sup> FATF-ის ოფისი განთავსებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის the Organisation for Economic Co-operation and Development (OECD) შენობაში, პარიზში.<sup>161</sup> FATF-ის რეკომენდაციები განსაზღვრას საბანკო გარიგებების ნამდვილი ბენეფიციარების იდენტიფიცირებას, აღრიცხვიანობის წარმოებას, რომლებიც საშუალებას აძლევენ სამართალდამცველებს მიყვინ გარიგებების კვალს, ასევე იმ პირთა სამართლებრივ დაცვას, რომლებიც მიაწვდიან საექვო ოპერაციების შესახებ ინფორმაციას.<sup>162</sup> რეკომენდაციების თანახმად, საფინანსო სისტემა უნდა იყოს გამჭირვალე, რათა გამოაშკარავებულ იქნას

<sup>160</sup> Financial Action Task Force (FATF), website: <http://www.fatf-gafi.org/faq/membercountriesandobservers/> [ბოლო ვიზიტი, 24/05/2021];

<sup>161</sup> The Organisation For Economic Co-Operation And Development (OECD), website: <https://www.oecd.org/cleangovbiz/toolkit/moneylaundering.htm> [ბოლო ვიზიტი, 24/05/2021];

<sup>162</sup> FATF Report, Money Laundering vulnerabilities of Free Trade Zones, 2010, გვ 23 : <http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/ml%20vulnerabilities%20of%20free%20trade%20zones.pdf> [ბოლო ვიზიტი, 24/05/2021].

უნაღლო ანგარიშსწორებით განხორციელებული გარიგებები.<sup>163</sup> FATF იკვლევს და ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითადი სქემების კლასიფიცირებას და პერიოდულად აფასებს, სრულდება თუ არა მისი რეკომენდაციები. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის შეფასება FATF-ის მიერ შემუშავებული სპეციალური მეთოდის მიხედვით ხდება. კონკრეტულად კი, შეიმჩნევა თუ არა შიდა ეროვნულ კანონმდებლობაში ფულის გათეთრების წინააღმდეგ პროგრესი.<sup>164</sup> FATF-ის 40 რეკომენდაცია უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ინიციატივით 1990 წელს შემუშავდა. 1996 წელს რეკომენდაციები გადაიხედა და იმავე წელს ეს რეკომენდაციები მოიწონა 130-ზე მეტმა სახელმწიფომ.<sup>165</sup>

- რეკომენდაცია 1-3 ეძღვნება ფულის გათეთრების კრიმინალიზაციას, რომელიც იხილავს ფულის გათეთრებას როგორც დანაშაულს, რომელიც აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას ყველა ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობაში;
- რეკომენდაციებში 4-20 ასახულია ნორმები, რომლებიც ეხება ფინანსური ორგანიზაციების მეშვეობით უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთას;
- რეკომენდაციები 21-22 განიხილავს ცალკეული ზომების მიღების საკითხს იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომელთა საკანონმდებლო მექანიზმები არ შეესაბამება FATF-ის რეკომენდაციებს;

---

<sup>163</sup> FATF Report, Money Laundering Using new payment methods, 2010: <https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/ML%20using%20New%20Payment%20Methods.pdf> [ბოლო ვიზიტი, 24/05/2021];

<sup>164</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 53 გვერდი;

<sup>165</sup> იქვე.

- რეკომენდაციები 23-25 ეხება რეგულირებისა და ზედამხედველობის საკითხებს;
- რეკომენდაციები 26-32 მოიცავს კომპეტენტური ორგანოების რესურსებსა და უფლებამოსილებას;
- რეკომენდაციებში 33-34 მითითებულია იურიდიული პირების გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად მისაღები ზომები;
- რეკომენდაციებში 35-40 აღწერილია საერთაშორისო თანამშრომლობის წესები.<sup>166</sup>

FATF-ის 40 რეკომენდაცია მოიცავდა საკითხთა სამ ძირითად ბლოკს:

- 1) იმ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნის ზომების სრულყოფა, რომლებიც დაკავშირებული არიან ფულის გათეთრებასთან ასეთი ქმედების კრიმინალიზაციის და დანაშაულებრივი შემოსავლების კონფისკაციის ჩათვლით;
- 2) საფინანსო სისტემის როლის ზრდა, საფინანსო ორგანიზაციების და საზედამხედველო ორგანოების მიერ ფულის გათეთრების აღსაკვეთად მიღებული ზომების ჩათვლით;
- 3) საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სფეროში, მათ შორის, კომპეტენტურ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის ნაწილში.<sup>167</sup>

ეგმონტის ჯგუფი 1995 წლის 9 ივნისს შეიქმნა. მისი სახელწოდება მომდინარეობს ბრიუსელში ეგმონტის ჯგუფის პირველი შეკრების ადგილის, ეგმონტ-არენბერგის, სასახლის სახელწოდებიდან.<sup>168</sup>

<sup>166</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 117-122 გვერდები;

<sup>167</sup> გ. შაშიაშვილი, პასუხისმგებლობა „ფულის გათეთრებისთვის“ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, სამართალი, თბილისი, 2012 წელი, 82 გვერდი;

<sup>168</sup> სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდი, ეგმონტის ჯგუფის შესახებ, <https://www.fms.gov.ge/geo/page/egmont-group> [ბოლო ვიზიტი, 25/05/2021].

ეგმონტის ჯგუფის მიზანია სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური მონიტორინგის უწყებებს შორის თანამშრომლობის კოორდინაციისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა. ეგმონტის ჯგუფში ამჟამად 166 ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის უწყებაა გაერთიანებული.<sup>169</sup>

ეგმონტის ჯგუფის სტრუქტურა მოიცავს უმაღლეს მმართველ ორგანოს მასში გაწევრიანებული სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური მონიტორინგის უწყებების უფროსების გენერალური ასამბლეის სახით, რომელიც სულ მცირე წელიწადში ერთხელ იკრიბება პლენარულ სხდომებზე.<sup>170</sup> ეგმონტის ჯგუფის საქმიანობას საფუძვლად უდევს ქარტია, მისი ბიუჯეტი ფორმირდება წევრი სახელმწიფოების ფინანსური მონიტორინგის უწყებების ყოველწლიური შენატანებითა და სხვადასხვა ნებაყოფლობითი შემოწირულობებით.<sup>171</sup>

ეგმონტის ჯგუფი მხარს უჭერს წევრი ქვეყნების და მისი საერთაშორისო პარტნიორების, აგრეთვე დაინტერესებული მხარეების ძალისხმევას, რათა შეასრულონ გაეროს უშიშროების საბჭოს და FATF-ის რეზოლუციები და რეკომენდაციები.<sup>172</sup> ეგმონტის ჯგუფს შეუძლია შეაფასოს წევრი სახელმწიფოების შესაბამისი ორგანოების საქმიანობა. მთელს მსოფლიოში ფინანსური დაზვერვის დანაყოფები ვალდებულნი არიან საერთაშორისო სტანდარტებით გაცვალონ ინფორმაცია და ჩაერთონ საერთაშორისო თანამშრომლობაში.<sup>173</sup>

FATF-ის ტიპის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლი ევრაზიის ჯგუფი (EAG) დამფუძნებელთა კონფერენციის გადაწყვეტილებით 2004 წელს

---

<sup>169</sup> ეგმონტის ჯგუფის ვებ-გვერდი, <https://egmontgroup.org/en/content/about> [ბოლო ვიზიტი, 09/06/2021];

<sup>170</sup> სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდი, ეგმონტის ჯგუფის შესახებ, <https://www.fms.gov.ge/geo/page/egmont-group> [ბოლო ვიზიტი, 25/05/2021];

<sup>171</sup> სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდი, ეგმონტის ჯგუფის შესახებ, <https://www.fms.gov.ge/geo/page/egmont-group> [ბოლო ვიზიტი, 25/05/2021];

<sup>172</sup> ეგმონტის ჯგუფის ვებ- გვერდი: <https://www.egmontgroup.org/content/about> [ბოლო ვიზიტი, 25/05/2021];

<sup>173</sup> იქვე.

შეიქმნა.<sup>174</sup> EAG-ის შემადგენლობაში შევიდნენ ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ჩინეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და თურქმენეთი.<sup>175</sup> EAG-ის ძირითადი ამოცანებია: ტერორიზმის დაფინანსებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების გავრცელება რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით. ფინანსური დაზვერვის ქვედანაყოფების კომპეტენციის ფარგლებში ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება და გატარება.<sup>176</sup> EAG-ის ძირითადი ამოცანები აგრეთვე მოიცავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის შეფასებას და თანამშრომლობის პროგრამის კოორდინაციას.<sup>177</sup>

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას კომერციული ორგანიზაციებიც ებრძვიან. 2000 წლის 30 ოქტომბერს მსოფლიოს 11-მა წამყვანმა ბანკმა ხელი მოაწერა საბანკო სფეროში ფულის გათეთრების აღკვეთის შესახებ საყოველთაო დირექტივებს<sup>178</sup> (Wolfsberg Anti-Money Laundering Principles – ვოლფსბერგის პრინციპები)<sup>179</sup>. ვოლფსბერგის პრინციპების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო OCECD-მ და Transparency International-მა, რომლებიც დაკავებულნი არიან კორუფციის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის საკითხებით.<sup>180</sup>

ვოლფსბერგის პრინციპებმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა „უჩვეულო ან საეჭვო საქმიანობის“ გაგება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს

---

<sup>174</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 59 გვერდი;

<sup>175</sup> უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლი ევრაზიის ჯგუფის (EAG) ვებ-გვერდი, <https://eurasiangroup.org/en/about-eag> [ბოლო ვიზიტი, 09/06/2021];

<sup>176</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 105 გვერდი;

<sup>177</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 59 გვერდი;

<sup>178</sup> ვოლფსბერგის პრინციპების შესახებ: <https://www.wolfsberg-principles.com/about/mission> [ბოლო ვიზიტი 27/05/2021];

<sup>179</sup> Wolfsberg Anti-Money Laundering Principles for Private Banking (2012);

<sup>180</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 59 გვერდი.



შემდეგ<sup>181</sup>: „სახსრების მოძრაობა ანგარიშზე, კლიენტის ურთიერთშეუსაბამო საქმიანობები, ხშირი გადმორიცხვები, სატრანზიტო ანგარიშების გამოყენება, ტრანზაქციების განხორციელება, რომელთაც არა აქვთ დანიშნულება.” ბანკის თანამშრომლები, ბანკის ხელმძღვანელობა ან/და კონკრეტული სამსახური უნდა აანალიზებდნენ ნებისმიერ საეჭვო ან უჩვეულო გარიგებას. თუ ვერ ხერხდება რაციონალური ახსნის მოძებნა, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება; გაგრძელდეს კლიენტთან საქმიანი ურთიერთობა მხოლოდ გაძლიერებული კონტროლის პირობებში; გაწყდეს კლიენტთან საქმიანი ურთიერთობა; მოხდეს ხელისუფლების ინფორმირება აღნიშნულის შესახებ.<sup>182</sup>

#### *4.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლაში უცხო ქვეყნების გამოცდილება*

არაერთი თანამედროვე სამართლებრივი ინსტიტუტისგან განსხვავებით, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეფექტურად და დამოუკიდებლად ვითარდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუტები არც თუ ისე დიდი ხნის წინ შეიქმნა. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო საფუძვლები უმეტეს ქვეყნებში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული და საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული, საკმაოდ მკაფიოდ ფორმულირებული მოთხოვნების, რეკომენდაციებისა და სტანდარტების გავლენით ჩამოყალიბდა.<sup>183</sup> შესაბამისად, აღნიშნული განაპირობებს ამ სფეროში სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივი ინსტიტუტების სტრუქტურულ მსგავსებას. ამასთან ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის

<sup>181</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 115 გვერდი;

<sup>182</sup> იქვე;

<sup>183</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 63-64 გვერდები.

მექანიზმებსა და ხერხებს გარკვეული სპეციფიკაც ახასიათებთ ქვეყნების მიხედვით.<sup>184</sup>

FATF-ის და განვითარებული ქვეყნების ინიციატივით შექმნილი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, ყურადღებით აკვირდებოდნენ შემუშავებული სტანდარტების დაცვის პროცესს და იყენებდნენ როგორც საერთაშორისო შეთანხმებების ავტორიტეტს, ასევე განვითარებული სახელმწიფოების ძლიერ მხარდაჭერას ზეწოლის მოსახდენად იმ ქვეყნებზე, რომლებიც არ იცავდნენ კონვენციებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნულმა, ქვეყნების უმრავლესობას უბიძგა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ნაციონალური სისტემების შექმნისას მიუღოთ და გაეთვალისწინებინათ რეკომენდებული საერთაშორისო სტანდარტები. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა, რომ ბოლო ათწლეულში სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილ უკანონო ლეგალიზაციის აღმკვეთ სისტემებს აგების მსგავსი პრინციპი და სტრუქტურა აქვთ. რაც შეეხება აღნიშნულ სისტემებსა და სტრუქტურებს შორის სხვაობას, იგი პირველ რიგში განპირობებულია ქვეყნების ეკონომიკისა და მასში „ჩრდილოვანი შემადგენლობის“ განსხვავებული მდგომარეობით. ამ განხრით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ჯგუფები:<sup>185</sup> განვითარებული ქვეყნები ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებითად მცირე შეფარდებითი წონით. ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ აშშ, სკანდინავიის ქვეყნები და სხვ.; განვითარებული ქვეყნები ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი შეფარდებითი წონით, მაგალითად, იტალია; განვითარებადი ქვეყნები კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დაბალი დონით; განვითარებადი ქვეყნები კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონით; გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ წინა ჯგუფს, მაგრამ აქვთ მნიშვნელოვანი

<sup>184</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 123-124 გვერდები;

<sup>185</sup> იქვე, 124-125 გვერდები.

სპეციფიკა, რაც დაკავშირებულია პრივატიზაციის პერიოდის დანაშაულებთან; ოფშორული იურისდიქციები, რომელთათვისაც „საგადასახადო დაბეგვრის ოპტიმიზაციის“ საექვო ოპერაციები საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა.<sup>186</sup>

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან ბრძოლაში საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები. ფულის გათეთრების საკითხი აშშ-ის კანონმდებლობა ერთი რომელიმე კანონის სახით არ არის ასახული.<sup>187</sup> ეს იმითაა განპირობებული, რომ ამ ქვეყანაში არ არსებობს სისხლი სამართლის კოდიფიცირებული მოდელი.<sup>188</sup> ჯერ კიდევ 1970 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო სამი კანონი, რომელთაც პირდაპირი შეხება ჰქონდა ამ პრობლემასთან. კანონი ორგანიზებულ დანაშაულზე კონტროლის შესახებ, კანონი საბანკო საიდუმლოს შესახებ და კანონი ნარკოტიკების გავრცელებაზე საყოველთაო კონტროლის შესახებ. ეს იყო პირველი მცდელობა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში ნაღდი ფულის რეგულირების და ქონების კონფისკაციის მექანიზმების ასამოქმედებლად; ხოლო 1986 წელს აშშ-ის კონგრესმა უკვე მიიღო კანონი ფულის გარეცხვაზე კონტროლის შესახებ.<sup>189</sup> ფულის გათეთრება აშშ-ის კანონმდებლობაში ფართო გაგებითაა მოცემული და მოიცავს არა მარტო დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ, არამედ არამართლზომიერი საქმიანობის შედეგად წარმოშობილ ქონებასაც.<sup>190</sup> აშშ-ში დაფიქსირებული ფულის გათეთრების ფაქტებიდან 60-80% ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული სახსრების

<sup>186</sup> ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო გამოცდილება) - თბილისი, 2012 წელი, 124-125 გვერდები;

<sup>187</sup> გ. შაშიაშვილი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პრობლემა, თბილისი, 2015 წელი, 17 გვერდი;

<sup>188</sup> იქვე;

<sup>189</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალაძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 872 გვერდი;

<sup>190</sup> გ. შაშიაშვილი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პრობლემა, თბილისი, 2015 წელი, 17 გვერდი.

ლეგალიზაციაზე მოდის, რასაც ლათინური ამერიკის ქვეყნებთან გეოგრაფიული სიახლოვე განაპირობებს.<sup>191</sup> ბოლო პერიოდში აშშ-ს ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ფულის გათეთრების მრავალი ფაქტი იდენტიფიცირდა.<sup>192</sup> აშშ-მ ფულის გათეთრების აღკვეთის მიმართულებით გაამდიერა სავალუტო გარიგებათა აღრიცხვის სისტემა, გააუმჯობესა სხვა ქვეყნების სამთავრობო ფინანსურ რგოლებთან ფულის გათეთრების აღკვეთის სფეროში თანამშრომლობა საერთო სისტემაში მოაქცია საერთაშორისო და ადგილობრივი საჰაერო რეისებით გადაადგილებულ პირებზე ინფორმაცია და გააუმჯობესა აღრიცხვიანობის სისტემა.<sup>193</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა/ურთიერთდახმარება. სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ აშშ-ს 49 იურისდიქციასთან აქვს ხელშეკრულება რატიფიცირებული, რომლებიც უკანონო ქონების კონფისკაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველს წარმოადგენენ.<sup>194</sup> ორმხრივი შეთანხმებები უკანონო შემოსავლების კონფისკაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, მოწმობს კონფისკაციის, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი სტაუსის მქონე სანქციის გამოყენებაზე.<sup>195</sup>

აღსანიშნავია, რომ მრავალი ქვეყანა, სადაც სამართლის რომანულ-გერმანული სისტემაა გაბატონებული, მხარს უჭერს „ფულის

---

<sup>191</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 64 გვერდი;

<sup>192</sup> იქვე;

<sup>193</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 64 გვერდი;

<sup>194</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალაძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 877-878 გვერდები;

<sup>195</sup> იქვე.

გათეთრების” შესახებ კანონის ამერიკულ მოდელს, გამონაკლისი არც საქართველოა.<sup>196</sup>

ევროპაში ნარკობიზნესიდან მიღებული შემოსავლების გათეთრების კრიმინალიზაცია დაიწყო მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა დანიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ნორვეგიაში შესაბამისი კანონები იქნა მიღებული.<sup>197</sup>

გერმანიაში უკანონო შემოსავლის მიღების ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან, საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებთან, სიგარეტის კონტრაბანდასთან, გაყალბებასთან, იარაღით ვაჭრობასთან და სხვ.<sup>198</sup> გერმანიაში დსთ-ის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან დიდი თანხები შეედინება, რომელთა წარმომავლობა უმეტეს შემთხვევაში გაურკვეველია.<sup>199</sup>

აღსანიშნავია, რომ გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით ფულის „გარეცხვის” ამსრულებელია არა ის, ვინც უშუალოდ სისხლის სამართლის დანაშაულის გზით შეიძინა შესაბამისი ქონებრივი ობიექტი, არამედ სხვა პირი. პირი, რომელმაც პრედიკატული სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება ჩაიდინა, გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, არ შეიძლება ფულის გათეთრების ამსრულებელი ან თანამონაწილე იყოს.<sup>200</sup> ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, რომ გასათეთრებელი შემოსავლების დანაშაულებრივი წარმომავლობა ცალსახად იქნეს

<sup>196</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 877-878 გვერდები;

<sup>197</sup> გ. შაშიაშვილი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პრობლემა, თბილისი, 2015 წელი, 22 გვერდი;

<sup>198</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 65 გვერდი;

<sup>199</sup> იქვე;

<sup>200</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 888 გვერდი.

დამტკიცებული.<sup>201</sup> 1993 წლის 25 ოქტომბერს გერმანიის ბუნდესტაგმა მიიღო კანონი მძიმე კადეგორიის სისხლის სამართლის დანაშაულებიდან მიღებული მოგების გამოვლენის შესახებ.<sup>202</sup> ამ კანონის მიზანია, გააადვილოს მძიმე დანაშაულის ჩადენის გზით მიღებული შემოსავლების გამოვლენა, შექმნას ბარიერები ფულის გათეთრების წინააღმდეგ, ხელი შეუწყოს ორგანიზებული დანაშაულებრივი სტრუქტურის გამოვლენას.

იტალიაში უკანონო შემოსავლის მიღების ძირითადი წყაროა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული შემოსავლები და გამომძალველობა.<sup>203</sup> ბოლო პერიოდში დამნაშავეთა ჯგუფის მიერ ორგანიზებული ფულის გათეთრება უფრო რთული მეთოდებით ხორციელდებოდა, მათ შორის კვალიფიციური კონსულტანტების ან დამოუკიდებელი ორგანიზაციების დახმარებით.<sup>204</sup> იტალიური დანაშაულებრივი ორგანიზაციების ინტერნაციონალიზაცია ართულებს უკანონო შემოსავლების აღმოჩენას ნაკლებად კონტროლირებადი ეკონომიკური დარგის მქონე ქვეყნებში.<sup>205</sup> იტალიაში ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კუთხით მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. 1990 წლიდან, კანონმდებლობის შეცვლის შედეგად იტალიის სახელმწიფო ვალდებულია მონიტორინგი განახორციელოს დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულის ლეგალიზაციის მცდელობის აღმოსაჩენად და აღსაკვეთად.<sup>206</sup> მონიტორინგი ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი

---

<sup>201</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 888 გვერდი;

<sup>202</sup> კანონი მძიმე კადეგორიის სისხლის სამართლის დანაშაულებიდან მიღებული მოგების გამოვლენის შესახებ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1993 წელი;

<sup>203</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 67 გვერდი;

<sup>204</sup> იქვე;

<sup>205</sup> იქვე;

<sup>206</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების

თანხის საზღვარგარეთ გატანას იმავდროულად უნდა ახლდეს შემოსავლის დეკლარირება.<sup>207</sup> 1991 წლის 3 მაისის N143 კანონის მიხედვით 20 000 000 იტალიურ ლირაზე მეტი თანხის გატანა ნებადართულია მხოლოდ უფლებამოსილი საშუამავლო სააგენტოების მეშვეობით, რომლებიც კლიენტების რეგისტრაციას და იდენტიფიცირებას ახორციელებენ. ის პირები, ვინც უარს იტყვიან ოპერაციების ან მარწმუნებლის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, ან ყალბ ინფორმაციას მიაწოდებენ, ისჯებიან სისხლის სამართლის წესით. კანონით ასევე დადგენილია საბანკო სისტემის მიერ კომპეტენტური ორგანოების სავალდებულო ინფორმირების მექანიზმი ყოველი 20 მილიონ იტალიურ ლირაზე მეტი თანხის გადაყვანისას.<sup>208</sup>

საბოლოო ჯამში ზემოთ განხილული ქვეყნების გამოცდილებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლაში პირველ რიგში უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო თანამშრომლობა. ფულის გათეთრების საერთაშორისო ხასიათმა ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა ერთი კონკრეტული სახელმწიფოს მიერ ეფექტური ბრძოლის წაროება. მნიშვნელოვანია აგრეთვე ტრანზაქციების გამჭირვალეობა, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოში ხორციელდება. ერთ ერთი ურთულესი, თუმცა ამავედროულად უმნიშვნელოვანესია სუსტი საფინანსო ინსტიტუტების მქონე ქვეყნების განვითარება და მათი მხარდაჭერა. აგრეთვე ისეთი ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნებზე საერთაშორისო ზეწოლის განხორციელება, რომლებისთვისაც ფულს „სუნი“ არ აქვს და თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკით ფაქტობრივად ხელს უწყობენ ქვეყანაში უკანონო შემოსავლის რეინვესტირებას, რაც, როგორც

---

კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 891 გვერდი;

<sup>207</sup> იქვე;

<sup>208</sup> გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალაძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი, 892 გვერდი.

ნაშრომის დასაწყისში აღინიშნა მრავალი ნეგატიური შედეგის მომტანია გლობალური მასშტაბით, ვინაიდან „გარეცხილი ფული“ როგორც წესი ისევ უკანონო საქმიანობაში ინვესტირდება.

#### *4.3 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის თავისებურებები საქართველოში*

უკანონო შემოსავლის წინააღმდეგ ეფექტური ნორმატიული ბაზის შექმნა და შესაბამისად ეფექტური ღონისძიებების განხორციელება აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის, ზემოაღნიშნული აგრეთვე ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის კუთხითაც უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს.

საქართველოს, როგორც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყანას, რომელიც შეუერთდა ევროპის საბჭოს 1990 წლის კონვენციას „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ (სტრასბურგის კონვენცია),<sup>209</sup> ნაკისრი აქვს ვალდებულება, შექმნას უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში პრევენციული საკანონმდებლო ბაზა და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.<sup>210</sup> აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შესაბამისი უწყებათაშორისი კომისიის მიერ მომზადდა კანონპროექტი „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“<sup>211</sup> და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. კანონპროექტის შემუშავებისას ნაწილობრივ გათვალისწინებული იყო, როგორც ზემოაღნიშნული კონვენციის დებულებები, ისე FATF-ის 40 რეკომენდაციაც, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი.

<sup>209</sup> ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ ევროსაბჭოს კონვენცია, სტრასბურგი, 1990 წელი;

<sup>210</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 93 გვერდი;

<sup>211</sup> საქართველოს კანონი, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია, 2003 წელი;



სსკ-ის 52-ე მუხლი<sup>212</sup> არეგულირებს დანაშაულებრივი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის საკითხს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ქონების ჩამორთმევა ნიშნავს, ... დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.“<sup>213</sup> ამავე კოდექსის 194-ე მუხლის დისპოზიციაში განმარტებულია დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც ეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას,<sup>214</sup> ხოლო სანქციების თვალსაზრისით, აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს როგორც ჯარიმას, ასევე თავისუფლების აღკვეთას სამიდან თორმეტ წლამდე ვათით.<sup>215</sup>

2003 წლის 6 ივნისს მიღებულ იქნა და ძალაში 2004 წლის 01 იანვრიდან შევიდა აგრეთვე კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“.<sup>216</sup> სწორედ აღნიშნული კანონი წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ეროვნული სისტემის მთავარ სამართლებრივი ინსტრუმენტს. კანონი არეგულირებს საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების გამოვლენასა და აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს; ასევე საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ფორმებს.<sup>217</sup>

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას ახორციელებენ საქართველოს მთავარი პროკურატურა, ფინანსთა და

---

<sup>212</sup> სსკ. 52-ე მუხლი;

<sup>213</sup> სსკ. 52-ე მუხლის პირველი ნაწილი;

<sup>214</sup> სსკ. 194-ე მუხლი;

<sup>215</sup> მ. შალიკაშვილის სტატია, ფულის გათეთრების საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2009 წელი, 112 გვერდი;

<sup>216</sup> საქართველოს კანონი, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია, 2003 წელი;

<sup>217</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 94 გვერდი;

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტში, დამოუკიდებელი სამმართველო - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სამმართველო.<sup>218</sup> აგრეთვე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც ეროვნული ბანკის საბჭოსთან შეთანხმებით, 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი<sup>219</sup>. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისგან იღებს, აანალიზებს და დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში, რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან ტერორიზმის დაფინანსების, ან სხვა დანაშაულის ჩადენის მიზნით, გადასცემს სათანადო ინფორმაციას სამართალდამცავ ორგანოებს.<sup>220</sup> ამ მიზნით, აღნიშნულ ორგანოს ინტენსიური კავშირი აქვს სხვადასხვა საზედამხედველო ორგანოებთან- ეროვნულ ბანკთან, ადვოკატთა ასოციაციასთან, ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან და ა.შ.<sup>221</sup> აგრეთვე, ფინანსური მონიტორინგის სამსახური აგრძელებს კოოპერირებულ საქმიანობას უცხო ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან.<sup>222</sup>

---

<sup>218</sup> ნ. სონგულიას სტატია, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ზოგიერთი საკითხისათვის, სამეცნიერო ჟურნალი ახლგაზრდა ადვოკატები, თბილისი, 2016 წელი, 86 გვერდი;

<sup>219</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულება, [https://www.fms.gov.ge/Uploads/files/FMS\\_Debuleba\\_27.07.17.pdf](https://www.fms.gov.ge/Uploads/files/FMS_Debuleba_27.07.17.pdf) [ბოლო ვიზიტი, 09/06/2021];

<sup>220</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოს გამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 94 გვერდი;

<sup>221</sup> იქვე;

<sup>222</sup> სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2020 წლის ანგარიში: [https://www.fms.gov.ge/Uploads/files/GEO\\_Annual\\_Report\\_2020\\_28.04.21.pdf](https://www.fms.gov.ge/Uploads/files/GEO_Annual_Report_2020_28.04.21.pdf) [ბოლო ვიზიტი 06/06/2021].

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობი“ საკართველოს კანონი და მის საფუძველზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და საზედამხედველო ორგანოების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად:

- განსაზღვრავენ მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის აღკვეთის სფეროში;
- განსაზღვრავენ მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის მიწოდების წესს და პირობებს;
- ითვალისწინებენ ვალდებულებებს ინფორმაციის დაცვასა და გაცემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის შესახებ და უზრუნველყოფენ ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმებს.<sup>223</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის თვალსაჩინო პროგრესი, რასაც ქვეყანამ მიაღწია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის თვალსაზრისით. საქართველოში გატარებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმები ცალსახად მიუთითებს, რომ ქვეყანა აქტიურად არის ჩართული ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში. თუმცა, ამ ყველაფერთან ერთად მნიშვნელოვანია ნორმატიული ბაზის კიდევ უფრო განვითარება, აგრეთვე იმ უწყებებისა თუ ინსტიტუტების გაძლიერება, რომლებიც არიან ფულის გათეთრების/კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება მაგალითად, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა. ანტიკორუფციული უწყებები დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში

---

<sup>223</sup> ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი, 98 გვერდი.

მოქმედებს, თუმცა მათი სტრუქტურა და უფლებამოსილებები განსხვავებულია. ანტიკორუფციული უწყების ყველაზე გავრცელებული ფუნქციებია:<sup>224</sup>

- ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინაცია (როგორც წესი, ანტიკორუფციული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების მომზადების და მათი იმპლემენტაციის მონიტორინგის გზით);
- კანონმდებლობის ანალიზი და ცვლილებების მომზადება;
- საჯარო უწყებების პრაქტიკის ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი და ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია;
- სახელმწიფო შესყიდვებისა და პრივატიზაციის მონიტორინგი;
- პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი;
- საერთაშორისო თანამშრომლობა;
- კორუფციის შემთხვევების გამოძიება;
- კორუფციის შესახებ ცოდნის გავრცელება და საზოგადოების ინფორმირება.<sup>225</sup>

ასევე განსხვავებულია ანტიკორუფციული სააგენტოების არსებობის საკანონდებლო საფუძველი და ინსტიტუციური მდებარეობა. ყველაზე ეფექტური იქნება ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი ჩაიწეროს კონსტიტუციაში, ან სპეციალურ კანონში. რაც შეეხება ინსტიტუციურ მდებარეობას, ამ შემთხვევაში უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც პირდაპირ სახელმწიფოს მეთაურს(პრემიერ-მინისტრს) ან პარლამენტს

<sup>224</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის განხორციელება პრაქტიკაში, თბილისი, 2015 წელი, 11 გვერდი;

<sup>225</sup> იქვე.

დაექვემდებარება. ცხადია, ასეთი მოდელი დამოუკიდებლობის ყველაზე მაღალ ხარისხს გულისხმობს, რაც აუცილებელიც კია ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ კორუფციის პრევენციისა და კორუფციის კონკრეტული შემთხვევების ობიექტურად გამოსაძიებლად. ასეთი სტრუქტურის განთავსება აღმასრულებელი შტოს გარეთ ამცირებს მის საქმიანობაზე ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გავლენას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე საერთაშორისო თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავება, არსებული კადრების მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა, ასევე ახალი, კვალიფიციური კადრების მოზიდვა, რომლებიც პროფესიონალები სწორედ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლაში იქნებიან.

## დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ პრობლემას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია წარმოადგენს, რომელმაც 21-ე საუკუნეში გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ნაშრომის სამართლებრივი მნიშვნელობაც სწორედ მოცემული დანაშაულის საშიშროების ხარისხიდან გამომდინარეობს.

საქართველოში ფულის გათეთრების ცნება მოცემულია სსკ 194-ე მუხლში, აგრეთვე კანონში „ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“. ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განიმარტება როგორც - უკანონო შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემა, აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან/და შენიღბვა ან/და ასეთი მოქმედების ჩადენის მცდელობა.

საქართველოში ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია განაპირობა არსებული სამართლებრივი მდგომარეობის სისუსტემ, რომელიც თავისთავად ქვეყნის არასტაბილური და სუსტი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მოხდა. დღითი დღე იზრდებოდა კორუმპირებული პირების რაოდენობა სახელმწიფოში. შესაბამისად, მხოლოდ არსებული სამართლებრივი ნორმების დახმარებით ვერ ხერხდებოდა ეფექტური ნაბიჯების გადადგმა მათ წინააღმდეგ. აღნიშნულ დანაშაულს, გარდა გავრცელების არეალისა, სიმძაფრეს თანამდებობის პირების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა მატებდა. მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, მიუხედავად იმისა, ასრულებდა თუ არა ეს პირი საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, აქტიურად იყო ჩართული კორუფციულ გარიგებებში. ყველაზე ხელსაყრელი და ეფექტური საშუალებები მათთვის სხვადასხვა ქვეყნებში არსებული საბანკო და არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებში განხორციელებული ტრანზაქციებით ვლინდება. მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება და სისხლის სამართლის კოდექსში

პირდაპირ განსაზღვრა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი გამოვლინება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლადაა მოყვანილი ის ძირითადი ხერხები, რომლებიც გამოიყენება ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად. აღნიშნული საშუალებების გარკვეული ნაწილი გაზიარებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ. ფაქტია, რომ წლების განმავლობაში ქვეყანაში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები ფულის გათეთრებასთან საბრძოლველად, რითაც ფაქტობრივად აღმოიფხვრა წვრილმანი კორუფცია, თუმცა თუ გადავხედავთ ბოლო წლების კვლევებს კორუფციასთან დაკავშირებით<sup>226</sup>, თითქოს ქვეყანა გაიყინა მიღწეულ შედეგზე და ვეღარ ახერხებს წინსვლას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეფექტური რეფორმების განხორციელება, რაც თავის მხრივ განაპირობებს კორუფციასთან და ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კუთხით მნიშვნელოვან წინსვლას. სწორედ ზემოაღნიშნულმა განაპირობა, რომ შემესწავლა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წარმოშობის ისტორია, იურიდიული ბუნება, მისი განხორციელების გზები და მეთოდები, მასთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა, რამაც კიდევ უფრო მეტად დამარწმუნა, რომ ძალიან რთულია აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლა, რომელშიც ერთ მხარეს ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი სახელმწიფო ინსტიტუტები, ხოლო მეორე მხარეს უზარმაზარი ფინანსური დანაშაულებრივი სქემა და ამ სქემით „შეიარაღებული“ გამდიდრების მოსურნე ელიტა დგას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე, აუცილებელია რომ საქართველოს მიერ გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, მათ ანგარიშში ჩამოყალიბებული შეფასებები და უცხო ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება ამ კუთხით რათა

---

<sup>226</sup> იხ საერთაშორისო გამჭვირვალობის 2018, 2019 და 2020 წლების კვლევები საქართველოში კორუფციის აღქმასთან დაკავშირებით. <https://www.transparency.org/en/cpi/2018>  
<https://www.transparency.org/en/cpi/2019/index/nzl>  
<https://www.transparency.org/en/cpi/2020/index/nzl> [ბოლო ვიზიტი, 06/06/2021].

თავიდან იქნეს აცილებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ყველანაირი გამოვლინება.



## **ბიბლიოგრაფია**

### **საქართველოს საკანონმდებლო აქტები**

1. საქართველოს კანონი, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია, 2003 წელი;
2. საქართველოს კანონი, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ კონსოლიდირებული ვერსია, 1999 წელი;
3. საქართველოს კანონი, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ - კონსოლიდირებული ვერსია, 1997 წელი;
4. საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია, 1997 წელი;
5. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის N92 დადგენილება „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

### **საერთაშორისო აქტები**

1. „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენცია, ვარშავა, 2005 წელი;
2. ევროკავშირის კანონი „ფულის გათეთრების შესახებ“, 2005 წელი;
3. „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენცია, პალერმო, 2000 წელი;
4. „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენცია, სტრასბურგი, 1990 წელი;
5. კანონი „მძიმე კადეგორიის სისხლის სამართლის დანაშაულებიდან მიღებული მოგების გამოვლენის შესახებ“, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1993 წელი;

6. კანონი „ფულის გათეთრების კონტროლის შესახებ“, აშშ, 1986 წელი.

#### ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

1. ა. მიქელაძე, ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოსგამოწვევები, თბილისი, 2018 წელი;
2. ა. შეყლაშვილი, კორუფცია პოლიტიკაში, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, თბილისი, 2017 წელი;
3. გ. შაშიაშვილი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პრობლემა, თბილისი, 2015 წელი;
4. გ. შაშიაშვილი, პასუხისმგებლობა „ფულის გათეთრებისთვის“ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, სამართალი, თბილისი, 2012 წელი;
5. გ. ნაჭყებია, გ. გორაშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რ. გოგშელიძე, დ. სალუქვაძე, ი. დვალიძე - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012 წელი;
6. კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (რედ.). გ.დლონტი, თბილისი, 2011 წელი;
7. მ. შაყულაშვილი, კორუფციასთან ბრძოლის ძირითადი მიმართულებები დიდი ქალაქის პირობებში (ქ. თბილისის მაგალითზე), თბილისი, 2018 წელი;
8. მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი - სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018 წელი;

9. მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წელი;
10. მ. შალიკაშვილი, ფულის გათეთრების საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2009 წელი;
11. ნ. სონგულია, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ზოგიერთი საკითხისათვის, სამეცნიერო ჟურნალი ახლგაზრდა ადვოკატები, თბილისი, 2016 წელი;
12. ნ. ოსაძე, ფულის გათეთრება ოფშორული ზონების გამოყენებით, ჟურნალი მართლმსაჯლება და კანონი N1;
13. ნ. ჭყვიძე, გიორგი ტომარაძე, ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები ვირტუალური ვალუტების რეგულირება (BITCOIN-ის მაგალითზე);
14. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის განხორციელება პრაქტიკაში, თბილისი, 2015 წელი;
15. ს. ასანიძე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაციის ზოგიერთი საკითხი, გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, სამართალი, თბილისი, 2012 წელი;
16. ს. ასანიძე - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება (საერთაშორისო დამოკიდებულება) - თბილისი, 2012 წელი;
17. ფრანცისკო კარდონა, კორუციასთან ბრძოლის პოლიტიკა და საგენტოები, კარგი მმართველობის გზამკვლევი No03, 2015 წელი(ინგლისური ორიგინალის ქართული თარგმანი უზრუნველყო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციამ).

#### **უცხოენოვანო ლიტერატურა**

1. FATF Report, Money Laundering Vulnerabilities of Free Trade Zones, 2010:  
<http://www.fatfgafi.org/media/fatf/documents/reports/ml%20vulnerabilities%20of%20free%20trade%20zones.pdf> < ბოლოს ნანახია 24/05/2021>;
2. FATF Report, Money Laundering Using new payment methods, 2010:  
<https://www.fatfgafi.org/media/fatf/documents/reports/ML%20using%20New%20Payment%20Methods.pdf> < ბოლოს ნანახია 24/05/2021>;
3. Wolfsberg Anti-Money Laundering Principles for Private Banking, 2012.

#### ინტერნეტ რესურსები

1. <http://www.fatf-gafi.org/faq/membercountriesandobservers/> [ბოლო ვიზიტი, 24/05/2021];
2. <https://www.oecd.org/cleangovbiz/toolkit/moneylaundering.htm> [ბოლო ვიზიტი, 24/05/2021];
3. <https://www.fms.gov.ge/geo/page/egmont-group> [ბოლო ვიზიტი, 25/05/2021];
4. <https://www.egmontgroup.org/content/about> [ბოლო ვიზიტი, 25/05/2021];
5. [https://www.fms.gov.ge/Uploads/files/GEO Annual Report 2020 28.04.21.pdf](https://www.fms.gov.ge/Uploads/files/GEO%20Annual%20Report%202020%2028.04.21.pdf) [ბოლო ვიზიტი, 06/06/2021];
6. <https://matsne.gov.ge/ka> [ბოლო ვიზიტი, 06/06/2021];
7. <https://eurasiangroup.org> [ბოლო ვიზიტი 09/06/2021];
8. <https://www.transparency.org> [ბოლო ვიზიტი 09/06/2021].

